სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 30 მარტი 2004 №70 (2089) ფასი 50 თეთრი



ჟირესი გერმანიას 14 კაცით ემუქრება

დღეს დილით ფრანგი ქართველებს გამარჯვების რეცეპტს გამოუწერს

მე თქვენ გასწავლით, როგორ დაამარცხოთ გერმანელები

დღეს ალენ ჟირესის გაწვრთნილი საქართველოს ეროვნული ნაკრები პირველ მატჩს გამართავს — მანჰაიმში გერმანიის ახალგაზრდული ნაკრები უფროს ქართველებს უმასპინძლებს — შეხვედრა თბილისის დროის 23.30-ზე დაიწყება და მას გერმანული ტელეკომპანია ***DSF*** *პირდაპირ ეთერში გადასცემს.*

ჟირესმა ნაკრები სრულად გუშინლა შეკრიბა. ფრანგის განკარგულებაში თხუთმეტი ქართველი იყო — შოთა არველაძე, გიორგი დემეტრაძე, მალხაზ ასათიანი, კახა კალაძე, ლევან კობიაშვილი და ლევან ცქიტიშვილი ნაკრებს ტრავმათა გამო რომ გამოაკლდნენ, უკვე გაუწყეთ.

გუშინ ჟირესმა ორჯერ ავარჯიშა ნაკრები. საღამოს წვრთნა კარლ-ბენცის სტადიონზე იყო, სადაც გაიმართება კიდეც მატჩი. მანჰაიმელთა პროგნოზით, შეხვედრას დაახლოებით 8-10 ათასი კაცი დაესწრება — ბილეთი 5-12 ევრო ღირს.

საღამოს არ უვარჯიშია რეინჯერსელ ზურაბ ხიზანიშვილს — დილის ვარჯიშზე მას კოჭი გადაუბრუნდა და დღეს ალბათ ვერ ითამაშებს.

ერთი სიტყვით, ჟირესს 14 ჯანმრთელი ქართველიღა შერჩა.

მანჰაიმშია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია, ვისაც იქ დღეს იოჰან ბოსკამპი ჩააკითხავს — ჰოლანდიელმა გუშინდელ სატელეფონო საუბარში გვითხრა, მანჰაიმის გზას ხვალ დილიდან გავუყვებიო — ბოსკამპი იმ პროექტის ერთ-ერთი ღერძია, რითაც თბილისის „ლოკომოტივი“ რუსმა ინვესტორებმა უნდა ჩაიბარონ, ხოლო ბოსკამპი „ლოკომოტივში“ და საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში გაამწვრთნელონ.

დღევანდელ მატჩს გერმანიის ეროვნული ნაკრების დამრიგებელი რუდი ფიოლერიც დაესწრება.

ჟირესმა კი გუშინ გერმანულ სააგენტო „ინტერვეტენს“ გადაუშალა გული და ჩვენს მენტალიტეტსაც გაჰკრა კბილი.

— საქართველომდე კონგოს ნაკრების გაწვრთნას მთავაზობდნენ, მაგრამ ეს ჩემს ამბიციებს არ აკმაყოფილებდა. საქართველოს ნაკრებში კი დიდ პოტენციალს ვხედავ — ჩვენს გუნდში ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი თამაშობს და ყველაფერ ამას მალე თქვენც ნახავთ.

— ეს იმას ნიშნავს, რომ შესაძლოა, გერმანიაში 2006 წელსაც გნახოთ?

— რატომაც არა?! ქართველი ფეხბურთელებისთვის მთავარია გამარჯვება. ქართველებს სამხრეთელებისთვის დამახასიათებელი პრობლემები აქვთ მენტალიტეტთან დაკავშირებით და მეც პირველ რიგში ამ მიმართულებით ვმუშაობ.

დავით თავართქილაძე

კვორუმი ქართული ცეკვაა

მომავალ ყრილობამდე, 15 აპრილს, 15 ხმით

ქართულ რაგბიში დაძაბულობა ვერც განმეორებითმა ყრილობამ განმუხტა. რაგბის მთავართა საქმიანობით უკმაყოფილო კლუბები და ვეტერანები, როგორც რაგბის კავშირის გამგეობამ ბრძანა, გუშინ ხელახლა კი შეიყარნენ, მაგრამ ყრილობა ჩაიშალა, რაკი კვორუმი არ შედგა. 29 ხმიდან ნახევარზე მეტი, 15 კი მოგროვდა, მაგრამ ვინაიდან ორი მესამედი იყო საჭირო, ყრილობამ კიდევ ორი კვირით, 15 აპრილისთვის გადაიწია. ყრილობა და არჩევნები მაინც შედგება, დამაჯერებლად ამბობენ ბიძინა გეგიძის ოპონენტები. შემდეგ ჯერზე კვორუმი ხმოსანთა ნახევრამდე კლებულობს, ასე რომ, 15 ხმა საკმარისი იქნება.

მაშ, 15 აპრილამდე შევისვენოთ.

დღეს საქართველოს ნაკრები საკმაო ინტრიგის მქონე მატჩს გამართავს გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებთან. ინტრიგა კი ისაა, რომ ეს იქნება ალენ ჟირესის ქართული დებიუტი. არადა, ფრანგს გამოძახებული 18 ფეხბურთელიდან ოდენ 14 შერჩა, აქედან ერთი სათადარიგო მეკარე. წუხელ ნაკრების ფეხბურთელებს მანჰაიმში შევეხმიანეთ...

მე თქვენ მოგცემთ რეცეპტს და თქვენ მოუგებთ გერმანიას

გიორგი ლომაია: სამწუხაროდ, მე აშვეთიას და დარასელიას მოსკოვიდან ჩამოსვლა შეგვიგვიანდა და დილის ვარჯიში გამოვტოვეთ. საღამოს ვარჯიში ინტენსიური არ ყოფილა, მსუბუქი, ძირითადად ტაქტიკური დატვირთვები გვქონდა. შემდეგ ჟირესმა თეორიაშიც გვამეცადინა. მეკარეები ძველებურად გაბელიამ გვავარჯიშა.

— ჟირესმა ხაზგასმით თქვა, რომ მის გუნდში ის ფეხბურთელები იქნებიან, ვისაც თავიანთ კლუბებში თამაში უწევთ. შენ ხომ არ გისაუბრია ამ თემაზე?

— მითხრა, რომ იცნობს ჩემს შესაძლებლობებს, მაგრამ არ მოსწონს, რომ ძირითადში იშვიათად ვხვდები და მირჩია, შენი შანსი რომ დადგება, ყველაფერი გააკეთე, ხელიდან რომ არ გაუშვაო. საერთოდ კი, ძალიან კარგი შთაბეჭდილება დამრჩა მისი გაცნობისას. კაცს დებიუტი აქვს და ყველანაირად ვეცდებით, გავუმართლოთ.

დავით სირაძე: ჟირესთან ორჯერ ვივარჯიშე და შემიძლია ვთქვა, რომ თავისი საქმე კარგად იცის. თეორიის დასასრულს გვითხრა, მხოლოდ გამარჯვებაზე იფიქრეთ, სხვანაირი განწყობით სასურველ შედეგს ვერასოდეს მიაღწევთო.

— შენზე რა იცოდა?

— საკმაოდ იცოდა. გუშინ მეორე ბუნდესლიგის მიმოხილვასაც ერთად ვუყურეთ და რამდენიმე შენიშვნა მომცა. კარგი და უშუალო კაცი ჩანს.

— როგორც გერმანიაში მოთამაშემ, რა იცი ამ ქვეყნის 21-წლამდელთა ნაკრებზე?

— ამ თაობას მთელი გერმანია იმედის თვალით უყურებს. ზოგი იმასაც ამბობს, გერმანული ფეხბურთის აღორძინება ამათ ხელთააო. უძნელესი მატჩი იქნება. გარდა იმისა, რომ გერმანელები ყოველთვის საბრძოლო განწყობით გამოდიან სათამაშოდ, მათ უმეტესობას ბუნდესნაკრებში მოხვედრის შანსი აქვს და თავს არ დაზოგავენ. თუმცა ჩვენს გუნდს მნიშვნელოვანი კოზირი აქვს — უპირატესობა გამოცდილების ხარჯზე უნდა მოვიპოვოთ და ისე დავამარცხოთ მასპინძლები.

გოჩა ჯამარაული: ჟირესი, ერთი შეხედვით, რბილი და უშუალო კაცია, ოღონდ მომთხოვნიცაა და დისციპლინის მოყვარულიც. მოკლედ, პროფესიონალია. მე მითხრა, კიევის „დინამოსთან" თამაშს ვუყურე და ვიცი, გადაღლილი იქნებიო. ამიტომ პირველ ვარჯიშზე ნაკლებად დამტვირთა.

— ალბათ, შენს ამპლუაშიც გაერკვა...

— შენი სტილის ფეხბურთელებს მეტი თავისუფლება სჭირდებათო, მითხრა, თუმცა ისიც დასძინა, ტემპში უნდა იმოქმედო, თორემ მეტოქე მოდუნებას არ გაპატიებსო. კაცს ეტყობა, საქმეს ხელი გულიანად მოჰკიდა და ჩვენც იგივე უნდა გავაკეთოთ.

— მეტოქეზე თუ გესაუბრათ?

— დღეს თეორია უკვე გვქონდა, მაგრამ სულ სხვა თემებზე ილაპარაკა. ბოლოს გვითხრა, დილის თეორიაზე გეტყვით, როგორ უნდა დაამარცხოთ გერმანელები და ამიერიდან ასე იქნება, თამაშის წინ მე მოგცემთ რეცეპტს ნებისმიერი მეტოქის დასამარცხებლად და თქვენ ის უნდა გამოიყენოთო. გერმანიის ახალგაზრდული ნაკრები კი ძალიან სერიოზული მეტოქეა. მანჰაიმში გერმანელი ჟურნალისტების მთელი არმიაა და უმეტესობა მხოლოდ გამარჯვებას ელის.

დავით ერაძე

საქართველო საჭიროა ჩვენი შვილებისთვის

შტილიკეს ბიჭები და ჟირესის ბიძები

გერმანიაში საქართველოს ნაკრების სტუმრობას საკმაო რეზონანსი მოჰყვა. საგაზეთო პუბლიკაციების პათოსი კი ის გახლავთ, რომ ამ ქვეყნის 21-წლამდელთა ნაკრებს ძლიერი გამომცდელი ეყოლება საქართველოს ეროვნული გუნდის სახით.

გერმანიის ფეხბურთის კავშირის ოფიციალურ ვებგვერდზე კავშირის პრეზიდენტ გერჰარდ მოერის ინტერვიუში ვკითხულობთ: „უკვე თექვსმეტი წელია, გერმანიის 21-წლამდელთა ნაკრები ოლიმპიური თამაშების მიღმა რჩება. ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა ზაფხულის მიწურულს სალონიკში გავემგზავროთ. საამისოდ შტილიკეს გუნდს საქართველოს ეროვნული გუნდის სახით საკმაოდ კარგი სპარინგ-პარტნიორი გამოვუნახეთ. ექსპერიმენტების დრო დასრულდა და ამ შეხვედრაში შტილიკე ნაკრების ოპტიმალურ შემადგენლობას მოუყრის თავს".

ამავე ვებგვერდზე გერმანელთა მწვრთნელი ული შტილიკე გულდაწყვეტილი ამბობს: „სამწუხაროა, რომ ვერ ვახერხებთ ბენჟამენ ლაუტის დამატებას. ის ალბათ პირველ ნაკრებთან ერთად პორტუგალიაში ევრო 2004-ზე გაემგზავრება. სამაგიეროდ, საოცრად მახარებს ბერლინელი მალიკ ფატისა და მიუნხენელი ემანუელ კრონტირისის პროგრესი. ისინი ქართველებთან ითამაშებენ და თავიანთ ამბიციებს დაგვიმტკიცებენ. ჩვენ ოპტიმალური შემადგენლობით ვითამაშებთ მანჰაიმში".

აქვე იმასაც დავძენთ, რომ ემანუელ კრონტირისი ამჟამად მეორე ბუნდესლიგის აახენის „ალემანიაში" თამაშობს, თუმცა კონტრაქტით „მიუნხენ 1860"-ის საკუთრებაა.

საქართველოს ნაკრებთან მატჩის წინ გერმანული „კიკერი" ბასტიან შვაინსტაიგერის ლიდერობაზე წერს, არ გამორიცხავენ იმას, რომ ბასტიანი საბოლოოდ შეიძლება ბუნდესნაკრების წევრიც გახდეს და ევრო-2004-ზეც გაემგზავროს. თუმცა „ბაიერნის" 19 წლის იმედი ჯერ ქართველებთან მატჩზე ფიქრობს: „ჩვენ საკმაოდ მძიმე მატჩი გველის. საქართველოს ნაკრებს ბევრი ინდივიდუალურად ძლიერი ფეხბურთელი ჰყავს. ისინი ჩვენი მომავალი მეტოქის, პორტუგალიის მსგავსად თამაშობენ და ალბათ ეს მატჩი ამითაც წაგვადგება. ევრო 2004-ზე ჩემი გამგზავრების პერსპექტივა დიდად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ვითამაშებ საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ, ვინაიდან ამ მატჩს რუდი ფიოლერიც ნახავს".

დავით ერაძე

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის II შესარჩევი ჯგუფი

ჩვენი მეტოქე

შავი ბუღას შანსი



ეს შესაძლოა: ქართველების ექსკაპიტანი გურჯების წინააღმდეგ

შენოლ გიუნეშის გათავისუფლების შემდეგ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჰალუკ ულუსოიმ ახალი მწვრთნელის ძებნა დაიწყო. ეგებ სჯობდა, ჯერ მოეძებნა და ძველი მერე გაეშვა

ის დრო, როცა შოთა არველაძე და უნალ კარამანი ტრაბზონელები იყვნენ

თურქეთი

მსოფლიოს შესარჩევი ციკლის დაწყებამდე ხუთი თვე დარჩა, ოსმალოთა ნაკრების მომავალმა თავკაცმა კი შესაძლოა, გუნდის სათანადო მომზადება ვერ მოასწროს, სამუშაო კი არცთუ ცოტაა.

ჰალუკ ულუსოის ფავორიტები შინაურები არიან, თუმც გაზეთების ცნობით, უცხოელ მწვრთნელთა ვარიანტებსაც განიხილავენ.

პრეზიდენტს ორი კანდიდატი ჰყავს: „გენჩლერბირლიგის" დამრიგებელი ერსუნ იანალი და ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი რაშით ჩეთინერი.

ულუსოი განსაკუთრებით იანალის კანდიდატურას ემხრობა, ანკარული კლუბის პრეზიდენტს კი მწვრთნელის გაშვება არ სურს, თუმც ერსუნ იანალი აცხადებს, რომ ეროვნული ნაკრების ჩაბარებაზე უარს არ იტყოდა.

შინაურების ვარიანტი თუ არ გამოვიდა, მაშინ უცხოელებს მოსინჯავენ. მათ შორის ჯოვანი ტრაპატონის, ლუის ფელიპე სკოლარის, ბერტი ფოგთსს ასახელებენ. ახსენებენ შავან ფრანგსაც. ზოგიერთი წყაროს მიხედვით, ეს კაცი ჟან ტიგანაა, რაც ჯერჯერობით არ დასტურდება.

ამასობაში ამხანაგური მატჩის დრო მოახლოვდა. თურქეთის ნაკრები ხვალ ზაგრებში ხორვატებს გაეჯიბრება. ოსმალოებს ამ შეხვედრისთვის შენოლ გიუნეშის ერთ-ერთი თანაშემწე უნალ კარამანი მოამზადებს. გაზეთ „ფანატიკის" ცნობით, მოგების შემთხვევაში შესაძლოა, მას, პოსტი კიდეც დაუმტკიცონ. გაზეთი არ გამორიცხავს, რომ კარამანმა და რაშით ჩეთინერმა ნაკრები მსოფლიოს შესარჩევი ციკლისთვის ერთად მოამზადონ.

უნალ კარამანი თურქეთში, მეტად კი ტრაპიზონში ცნობილი და პატივცემული კაცია. იგი 9 წელიწადი (1990-1999) „ტრაბზონსფორის" ღირსებას კაპიტნის სამკლავურით იცავდა და მისი მწვრთნელი რამდენიმე სეზონის განმავლობაში შენოლ გიუნეში გახლდათ. სწორედ მაშინ, როცა შოთა და არჩილ არველაძეებმა ტრაპიზონში „ქართული რევოლუცია" მოახდინეს.

„შავ ბუღად" წოდებული უნალ კარამანი გუნდის ერთგული იყო და 1994 წელს „ფენერბაჰჩეში" დიდძალი ფულის სანაცვლოდაც კი არ გადავიდა.

იგი 1966 წელს კონიაში დაიბადა. „კონიასფორის" მოყვარულთა გუნდიდან „გაზიანთებსფორში" გადავიდა, სადაც სამი წელი დაჰყო. ამდენივე ხანი გაატარა „მალათიასფორში", საიდანაც „ტრაბზონსფორში" აღმოჩნდა და „შავი ზღვის ქარიშხალს" („ტრაბზონსფორის" მეტსახელია) ცხრა სეზონი ემსახურა. კარიერა „ანკარაგუჯუში" დაასრულა და სამწვრთნელო ცოდნის შეძენის შემდეგ შენოლ გიუნეშთან ნაკრებში მუშაობდა.

უნალ კარამანი ხვალ და უახლოეს ამხანაგურ მატჩებში თუ იმარჯვებს, დიდი შანსია, თურქეთი სექტემბერში მისი თავკაცობით დაუხვდეს საქართველოს და „შავი ბუღა" ალბათ ყოფილ თანაგუნდელებს ნახავს.

გაჟა ხუციშვილი

გერმანია

II ბუნდესლიგა. XXVI ტური

მაინცი 0:2 არმინია

ჩეხეთი

გამბრინუსლიგა. XXIII ტური

ლიბერეცი 1:1 ტეპლიცე

პორტუგალია

სუპერლიგა. XXVIII ტური

ბელენენსეში 2:0 ჟილ ვისენტე

იტალია

სერია C1/B. XXVII ტური

ლანჩანო 0:2 კროტონე

ყველაზე მეტად მე შევიცვალე

თბილისის მადა დინამოზე მოდის

ჯერ იმაზე შევთანხმდეთ, რომ „თბილისი“ ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და ახალგაზრდული გუნდია. მერე ცხრილი იმაზეც შეგვათანხმებს, რომ „თბილისი“ ახლა მესამე ადგილზეა და პირველადგილოსან „დინამოს“ ოთხი ქულით ჩამორჩება.

დანარჩენს „თბილისის“ მთავარ მწვრთნელ გიორგი დევდარიანთან ინტერვიუში ამოიკითხავთ — აქ შეთანხმება ალარაა მნიშვნელოვანი, რადგან ფეხბურთზე ვკამათობთ...

მაშრამ დოლიძეანალბელის ფოტო

— ამასწინათ თქვით, რომ „თბილისმა“ სეზონის მეორე ეტაპისთვის ტაქტიკური სქემა შეცვალა, ჩემპიონატის ბოლო ტურში კი „ვიტ ჯორჯია“ დაამარცხეთ და თქვენი გუნდი შარშანდლისგან დიდი არაფრით განსხვავდებოდა...

— ზუსტად ეგ არის საქმე — შეუიარაღებელი თვალით „თბილისის“ თამაშში სიახლეს ბევრს ვერაფერს შეამჩნევთ. ჩვენ ახლა განსხვავებულ დავალებებს ვაძლევთ გუნდის შემტევ ფეხბურთელებს. ხოლო ის სიახლე, რასაც ყველა ხედავს, ისაა, რომ განაპირა მცველებს უფრო აქტიურად ვიყენებთ.

— „თბილისიდან“ გამოცდილი ფორვარდი სულიკო დავითაშვილი გაუშვით — ბევრს მიაჩნია, რომ თავდასხმა ყველაზე პრობლემური რგოლია „თბილისისთვის“

— კარგი ფორვარდი ხომ ნებისმიერი გუნდისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა...

— ყველაფერი შედარებითია. ვიღაცას მიაჩნია, რომ დავითაშვილს მარტოს შეუძლია თამაშის მოგება, მე კი მსურს, რომ გუნდი ერთ ფეხბურთელზე არ იყოს დამოკიდებული. „თბილისში“ ყველაზე მეტად ალბათ ის შეიცვალა, რომ მე გამოცდილება მემატება, საკუთარ პროგრესს ვგრძნობ, რაც გუნდის თამაშზეც აისახება.

— გასაგებია, მაგრამ ნებისმიერ მწვრთნელს სურს, რომ გუნდს ჰყავდეს, ასე ვთქვათ, თამაშის გამომძრობი ფეხბურთელი...

— ასეთი ფეხბურთელის ყოლა მეც მსურს — ვისაც გადამწყვეტი სიტყვის თქმა შეუძლია. „თბილისში“ ასეთები თორნიკე აფციაური და გოჩა ხოჯავა არიან. ხოჯავას უკეთესობისკენ შეეცვალა მსოფლმხედველობა, საქმისადმი მიდგომა, რისი შედეგიც მისი „ვიტ ჯორჯიასთან“ კარგი თამაშიც იყო — კარგი იქნება, თუ ხოჯავა ასე გააგრძელებს.

— თუმც ფორვარდი არც ხოჯავაა და არც აფციაური...

— „კაიზერსლაუტერნის“ ახალგაზდული გუნდიდან ფიფია დავიმატეთ. მას, როგორც ფეხბურთელს, ბავშვობიდან ვიცნობ და ვფიქრობ, რომ გაცილებით მეტი შეუძლია, ვიდრე წინა თამაშებში აჩვენა. გერმანიაში მას სხვანაირ ფეხბურთს ათამაშებდნენ, მე კი განსხვავებული შეხედულება მაქვს და ფიფიასაც დრო სჭირდება ადაპტაციისთვის.

— ბევრს ეგონა, რომ „დინამო“ წლეულს ადვილად გახდებოდა ჩემპიონი, მაგრამ მეორე ეტაპი ამ გუნდმა კარგად ვერ დაიწყო, თუმც საჩემპიონო შანსი მაინც სხვაზე მეტი აქვს — როგორ ფიქრობთ, ზეექვსეულის დანარჩენი ხუთი გუნდიდან არცერთი არაა მზად ჩემპიონობისთვის, თუნდაც ფსიქოლოგიურად?

— ჩემპიონატის მეორე ეტაპზე „დინამოს“ ასეთ სტარტს არ ველოდი, მაგრამ რადგან ასე მოხდა, მადა ჭამაში მოდის — ჩვენ თამაშიდან თამაშამდე ვუმატებთ და შაბათს „დინამოსთან“ მატჩი ამ შეკითხვაზეც გასცემს პასუხს — წარმატების შემთხვევაში ჩემპიონობისთვის მზად ვიქნებით.

— მაინც როგორ აპირებთ „დინამოსთან“ წარმატების მიღწევას?

— „დინამოს“ და ბატონ ივოს სიურპრიზს ვუმზადებთ. მინდორზე ყველაფერს ფეხბურთელები ასრულებენ, მაგრამ თამაშის რეჟისურა მწვრთნელის ხელშია და შედეგზეც პასუხისმგებელი მწვრთნელია.

— უხარისხო მინდორზე თქვენც და შუშაკსაც ხშირად დაგიჩივლიათ და დამდეგი მატჩიც „ეროვნულის“ არცთუ კარგ საფარზე ჩატარდება — ამ შემთხვევაში „დინამო“ და „თბილისი“ თანაბარ პირობებში იქნებიან?

— ამ შემთხვევაში ისეა, რომ ორივე გუნდს კარგ მინდორზე თამაში აწყობს. მე გუნდს ჩასაშლელად ვერ გამოვიყვან თამაშზე — ფეხბურთი ნგრევა არაა.

— მეორე ეტაპზე რომელი გუნდი მოგეწონათ?

— „ლოკომოტივი“, რომელიც უხერხული მეტოქე გამოდგა ჩვენთვის სათასო მატჩებში — ეს გუნდი ძალიან ოსტატურად იკავებს თავს. რა თქმა უნდა, გამოვარჩევ „სიონსაც“, რომელმაც „დინამოს“ მოუგო.

დავით თავართქილაძე

ცვლილებები კალენდარში და მინდვრებში

არმაზი აღარავის უნდა

ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის მესამე ტურის ყველა მატჩი 3 აპრილს უნდა გამართულიყო, მაგრამ ერთი შეხვედრა ერთი დღით გადმოსწიეს — „მცხეთა“ ქუთაისის „ტორპედოს“ 2 აპრილს უმასპინძლებს ვაკეში, „ლოკომოტივის“ სტადიონზე. საქმე ისაა, რომ „მცხეთამ“ იჯარა გააფორმა „ლოკომოტივის“ სტადიონთან და აწი საშინაო მატჩებს ვაკეში გამართავს. მესამე ტურში კი „ლოკომოტივიც“ შინ თამაშობს და „მცხეთა“—„ტორპედოც“ ამიტომ იბურთავებენ ერთი დღით ადრე.

ამ ტურში „ლოკომოტივი“ „სიონს“ მასპინძლობს და ეს მატჩი 16 საათის ნაცვლად 18 საათზე დაიწყება. მიზეზი ასეთია — ამავე დღეს, 3 აპრილს „დინამო“ „თბილისს“ მასპინძლობს, რაც ძალიან საინტერესო მატჩად სჭვივის, მაგრამ ქომაგს ალბათ არც „ლოკომოტივი“—„სიონი“ ეპატარავება თვალში — მოკლედ, „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელობის სურვილია, რომ გულშემატკივარი ვაკეშიც მიიყვანოს.

ერთიც — „ვიტ ჯორჯია“ საშინაო მატჩებს კვლავ „შევარდენის“ სტადიონზე ჩაატარებს, რადგან მცხეთის „არმაზის“ მინდორი ერთობ უხარისხოა.

დავით თავართქილაძე

მაშრამ დოლიძეანალბელის ფოტო

აღარ გვინდა „არმაზი“, აღარ გვინდა ტალახი

თსუ 2:1 ქობულეთი

ქობულეთი	18	12	1	5	35:18	37
ოლიმპი	18	10	5	3	27:14	35
სამგურალი	18	10	4	4	25:12	34
ცხინვალი	18	9	5	4	30:14	32
გორდა	18	9	3	6	25:20	30
დინამო 2	18	8	4	6	36:24	28
მილანი	18	8	4	6	18:14	28
ამერი	18	7	5	6	21:17	26
ვიტ ჯორჯია-მცხ.	18	6	8	4	15:11	26
თსუ	18	7	4	7	30:19	25
ჩიხურა	17	7	2	8	20:19	23
ივერია	18	6	5	7	13:23	23
გურია	18	6	3	9	22:28	21
ლოკომოტივი 2	18	6	1	11	14:31	19
ლუკა	17	4	1	12	14:35	13
მეტალურგი	18	0	1	17	8:54	1

პირველ ლიგას ერთი თავისებურება ახასიათებს — ლიდერები ბლომად ქულებს კარგავენ, რის გამოც ცხრილში გვარიანი სიმჭიდროვეა. იმის გათვალისწინებით, რომ უმაღლეს ლიგაში გადასვლა მეოთხე ადგილზე გასვლითაც შეიძლება, ხოლო რეგიონალლიგაში ბოლო ხუთი გუნდი ვარდება, ეს სიმჭიდროვე უფრო თვალსაჩინო ხდება.

ავერ, გუშინ, მე-17 ტურის გადადებულ მატჩში თსუ-მ ლიდერ „ქობულეთს“ სძლია და სატურნირო მდგომარეობაც გამოისწორა. გასავარდნ ზონასაც ასცდა და საპლეიოფო ზონას მიუახლოვდა.

უდიდესი რუსული ტოტალიზატორი «ფონი»

გიწვევთ სათანამშრომლოდ



გახსენით ტოტალიზატორი თქვენს ქალაქში

ცნობებისთვის დარეკეთ
+7 095 9045011; +7 095 9045018

ფსონები და კაზინო ინტერნეტში: www.fonbet.info

შენ მიდიხარ შირესთან?
იაშვილმა კრავებს გაჭკრა

ალექსანდრე იაშვილმა (მარჯვნივ) თავადაც გაიტანა და როდა ანტარსაც გაატანინა

შვიდი გოლი და ამდენივე საგოლე პასი — ასეთია ალექსანდრე იაშვილის ბუნდესლიგური მონაგარი. კარგა ხანია, „იაშკა" უგულოდ იყო, შარშანდლის მერე ჩვენებური ოდენ საგოლე პასებით და „აკიდებული" პენალტებით თუ გამოირჩეოდა და ნავსი გუშინწინლა „კიოლნთან" გატეხა. „ფრაიბურგმა" ამ მოგებით სული მოითქვა და ათეულს დაუბრუნდა, თუმც „თხების" ძლევას ერთი უსიამოვნო ამბავი მოჰყვა — ლევან ცქიტიშვილი დაშავდა და 63-ე წუთზე შეცვალეს. ითამაშებს თუ არა იგი დღეს საქართველოს ნაკრებში გერმანელი ახალგაზრდების წინაამდეგ, ექიმების გადასაწყვეტია.

აი, ლევან კობიაშვილის ამბავი კი უკვე გარკვეულია. შალკელი ნახევარმცველი მუხლის ტრავმის გამო დააკლდება ალენ ჟირესის სადებიუტო მატჩს. კობიაშვილის „შალკემ" აქამდე შინ დაუმარცხებელი „ბოხუმი" გააკრა ბეჭებზე. ჩვენებურმა სრულად და აქტიურად ითამაშა, თან ახალ ამპლუაში — საყრდენ ნახევარმცველად.

შეგახსენებთ, კობიაშვილი სწორედ „ბოხუმთან" დაუბრუნდა გუნდს ფეხის მოშუშების მერე, თუმც ახლა მეორე მუხლი დაიშავა...

პირველად ითამაშა ძირითადში უნიონელმა დავით სირაძემ, მაგრამ ამან გუნდს ვერ უშველა. მწვრთნელნაცვალმა „უნიონმა" შინ 1:3 წააგო „ტრირთან" და ბოლოსწინა ადგილზე ჩაქვეითდა. ამის გათვალისწინებით, ძნელად დასაჯერებელია, ბერლინელებმა მეორე ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნება მოახერხონ. არადა, მეორე წრე ურიგოდ არ დაუწყიათ.

ავსტრიაში დავით მუჯირის გრაცის „შტურმი" განადგურდა. მაქსბუნდესლიგის განახლების მერე დათოს გუნდს ოდენ ერთი გოლი ჰქონდა გაშვებული, ახლა კი ლიდერ „აუსტრიასთან" ერთბაშად ხუთჯერ გამოაცხადა კაპიტულაცია. სტუმრებმა მეტოქეს კაპიტან მარიო ჰაასის კინკილათი უპასუხეს და ისიც ჩვენებურის ეფექტური პასით შეაგდეს. მუჯირმა კი „აუსტრიასთან" მატჩამდე მემფისის თასზე გამოიჩინა თავი გოლით. ის მატჩი „შტურმმა" 2:0 მოიგო.

ასეთი პასიური რუსეთუმე ლეგიონი არასოდეს გვყოლია. პრემიერლიგის მესამე ტურში ოდენ ორი ქართველი გამოჩნდა და ორივე შეცვლაზე. მიხეილ აშვეთია მეორე ტაიმში შეეშველა „ლოკომოტივს", თუმც რკინიგზელები ფრეს დასჯერდნენ წამოჩიტულ „ტორპედოსთან". ვიტალი დარასელია კი 76-ე წუთზე შევიდა მოედანზე. მისმა „ალანიამ" დებიუტანტ „ამკართან" წაიფორხილა და მე-15 ადგილზეა. სხვათა შორის, ეს დარასელიას დებიუტი იყო რუსულ პრემიერლიგაში. ლევან გვაზავა სათადარიგო იყო.

დანარჩენთაგან დინამოელი ოთარ ხიზანეიშვილი გამოირჩა და ისიც სარეზერვო გუნდში. საქართველოს ნაკრების მცველმა დუბლების ჩემპიონატში „როტორს" გაუტანა და ჯერაც იმედით ელის ძირითად გუნდში თამაშს.

არ უმართლებს გიორგი ლომაიასაც. სათადარიგოთა სკამზე მჯდომ მეკარეს კონკურენტი ვოიცეხ კოვალევსკი უსპობს შანსს. „სპარტაკმა" 3:2 გაჭირვებით მოუგო თანაქალაქელ „ტორპედო-მეტალურგს" და კოვალევსკი მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს.

პირველი გოლი გაიტანა უკრაინაში გიორგი იმედაძემ. ტავრიული ხუთეულიდან „ზირკასთან" სამმა ითამაშა. იმედაძემ 36-ე წუთზე შეცვალა ტრავმირებული თანაგუნდელი და მატჩის მიწურულს ქულა გადაურჩინა გუნდს.

ჯამარაულ-დემეტრაძის „მეტალურგმა" ბევრი იომა კიევის „დინამოსთან", მაგრამ მაინც დამარცხდა. ორივე ქართველი ძირითადში იყო. მათ სრულად ითამაშეს. დინამოელი ამისულაშვილი კი კვლავ სარეზერვო გუნდში ცდილობს თავისი ძალის დამტკიცებას.

მიხეილ ყაველაშვილი და „აარაუ" „ბაზელთან" წაგების მერე გამოფხიზლდნენ და შინ „სენტ გალენი" 3:0 გაანადგურეს. მართალია, ჩვენებურს არ გაუტანია, მაგრამ, „აარაუს" ვებგვერდს თუ ვენდობით, საკმაოდ აქტიურად უთამაშია.

მამია ჯიქიამ და ვრონკის „ამიკამ" ისევ მოიგეს, მაგრამ ლიდერთან სამქულიანი სხვაობა ვერა და ვერ შეამცირეს. ტრადიციულად, მამია ძირითადში იყო — ის ხომ „ამიკაში" შეუცვლელად ითვლება. ვრონკელებმა შინ „პოლკოვიცეს" სამი უპასუხო გაიტანეს და კვლავ მეორე ადგილზე არიან.

კახა შალამბერიძე

სახელი გვარი	გუნდი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა	თ	გ	ა
იტალია. სერია A								
კახა კალაძე	მილანი	შ	კიევო 2:2	0	ტრავმირებულია	4	0	1
გერმანია. ბუნდესლიგა								
ლევან კობიაშვილი	შალკე	ს	ბოხუმი 2:1	90		23	0	6
ალექსანდრე იაშვილი	ფრაიბურგი	შ	კიოლნი 3:0	90	1 გოლი, საგოლე პასი	24	7	10
ლევან ცქიტიშვილი	ფრაიბურგი	შ	კიოლნი 3:0	63	შეცვალეს	21	4	10
გერმანია. მეორე ბუნდესლიგა								
ხვიჩა შუბითიძე	აუე	ს	კარლსრუე 5:3	0	სათადარიგო	23	6	8
დავით სირაძე	უნიონი	შ	ტრირი 1:3	82	შეცვალეს	5	0	17
ავსტრია. მაქსბუნდესლიგა								
დავით მუჯირი	შტურმი	ს	აუსტრია 1:5	90	საგოლე პასი	19	1	8
შოტლანდია. პრემიერლიგა								
შოთა არველაძე	რეინჯერსი	შ	სელტიკი 1:2	0	ტრავმირებულია	16	12	2
ზურაბ ხიზანიშვილი	რეინჯერსი	შ	სელტიკი 1:2	59	შეცვალეს	17	0	2
ჰოლანდია. პირველი დივიზიონი								
გოგა გახოკიძე	ტვენტე	ს	გრონინგენი 0:1	0	ტრავმირებულია	24	2	10
შვეიცარია. სუპერლიგა								
მიხეილ ყაველაშვილი	აარაუ	შ	სენტ გალენი 3:0	73	შეცვალეს	6	4	7
რუსეთი. პრემიერლიგა								
მალხაზ ასათიანი	ლოკომოტივი	ს	ტორპედო 1:1	0	ტრავმირებულია	1	0	3
მიხეილ აშვეთია	ლოკომოტივი	ს	ტორპედო 1:1	45	შეცვლაზე ითამაშა	3	0	3
რომან ახალკაცი	ლოკომოტივი	ს	ტორპედო 1:1	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	3
ვიტალი დარასელია	ალანია	ს	ამკარი 0:1	14	შეცვლაზე ითამაშა	1	0	15
ლევან გვაზავა	ალანია	ს	ამკარი 0:1	0	სათადარიგო	2	0	15
რატი ალექსიძე	როსტოვი	ს	რუბინი 1:1	0	სათადარიგო	2	0	16
გიორგი ლომაია	სპარტაკი	შ	ტ. მეტალურგი 3:2	0	სათადარიგო	0	0	4
ოთარ ხიზანეიშვილი	დინამო	შ	როტორი 5:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	1
დავით ნაკანი	ტორპედო	შ	ლოკომოტივი 1:1	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	2
უკრაინა. უმაღლესი ლიგა								
გოჩა ჯამარაული	მ. დონეცკი	ს	დინამო 1:2	90		17	1	4
გიორგი დემეტრაძე	მ. დონეცკი	ს	დინამო 1:2	90		16	10	4
ალექსანდრე ამისულაშვილი	დინამო	შ	მ. დონეცკი 2:1	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	2
ზურაბ იონანიძე	ტავრია	ს	ზირკა 1:1	0	სათადარიგო	15	2	15
გია ჭანტურია	ტავრია	ს	ზირკა 1:1	90		5	0	15
გიორგი იმედაძე	ტავრია	ს	ზირკა 1:1	54	შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი	3	1	15
კახა ჩხეტიანი	ტავრია	ს	ზირკა 1:1	90		3	0	15
ზვიად ჩხეტიანი	ტავრია	ს	ზირკა 1:1	0		0	0	15
გოჩა ტრაპაიძე	ვოლინი	ს	კარპატი 1:0	0	სათადარიგო	2	0	11
გელა შეყილაძე	არსენალი	ს	მ. ზაპოროჟიე 0:1	0	ტრავმირებულია	11	0	7
თურქეთი. პირველი ლიგა								
გივი. დიდავა	ქოჯაელი	შ	ქაისერი 1:2	90		19	0	6
პოლონეთი. პირველი ლიგა								
მამია ჯიქია	ამიკა	შ	პოლკოვიცე 3:0	82	შეცვალეს	16	1	2
ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა								
ამირან მუჯირი	ცსკა	შ	ბოტევი 4:1	0		3	0	3
ვლადიმერ კაკაშვილი	ჩერნო მორე	შ	ლევსკი 0:0	89	გააფრთხილეს, შეცვალეს	10	1	7
მოლდოვა. ნაციონალური ლიგა								
ვაჟა თარხნიშვილი	შერიფი	შ	ტილიგული 1:0	90		14	3	1
მურთაზ ბურნაძე	შერიფი	შ	ტილიგული 1:0	0	სათადარიგო	2	0	1
კვიპროსი. თასი								
თემურ ქეცბაია	ანართოსისი	ს	აპოელი 0:1	90				
გიორგი გაბიდაური	ანართოსისი	ს	აპოელი 0:1	90				
კლიმენტი ნიტაიშვილი	ანართოსისი	ს	აპოელი 0:1	90				
ლევან მაღრაძე	აელ	ს	აპოლონი 2:2	90				

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

გიორგი იმედაძემ უკრაინულის სწავლა დაიწყო

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა დაღლილი ხარ მარკეჯანის შეცდომა დაუმატეს

გთავაზობთ სერია A-ს 27-ე ტურის გმირებს და ანტიგმირებს იტალიელი ჟურნალისტის დომინიკ ანტონიონის ვერსიით

ლუსიანო (კიევი) — ამ ფეხბურთელმა „ინტერში“ ექვსი თვე გაატარა და ამ ხნის განმავლობაში საფირმო ფლანგური გარღვევა ერთხელაც არ განუხორციელებია, ხოლო როგორც კი „კიევოში“ დაბრუნდა, ძველებურად ათამაშდა. „კიევის“ პირველი გოლი „მილანის“ კარში მთლიანად ლუსიანოს შემოქმედების შედეგი იყო.

ენცო მარესკა (იუვენტუსი) — ორწლიანი ლოდინის შემდეგ მარესკა „იუვენტუსის“ ერთ-ერთი მთავარი ფეხბურთელი გახდა. ის აგრესიულია, ფეხით ხომ ჩინებულად თამაშობს და როდესაც საქმემ მოითხოვა თავითაც დაბებულად ითამაშა. მას შეუძლია „შავთეთრებს“ ბევრი რამ შემატოს.

ლუკა მარკეჯანი (კიევი) — „სან სიროზე“ „მილანთან“ შეხვედრის დროს ხან ერთ ძელთან მიფრინავდა და ხან მეორესთან, სანამ 97-ე წუთზე, მისი ერთადერთი შეცდომის გამო ანდრეი შევჩენკო ანგარიშს არ გაათანაბრებდა, მარკეჯანი დიდებულად თამაშობდა.

პაოლო მალდინი (მილანი) — როდესაც დაღლილი ხარ და ასი პროცენტით ისედაც არ იყავი მზად, ცუდად ითამაშებ. „კიევოს“ ორივე გოლის დროს მალდინი უპრობლემოდ დაჩაგრეს. სხვა საქმეა, რომ ეს მისი პირველი ცუდი თამაში იყო მიმდინარე სეზონში.

ფილიპო ინძაგი (მილანი) — „მილანი“ 0:1-ს რომ აგებდა, მან უეჭველი გოლი ვერ შეაგდო. საერთოდ, იმ დღეს ინძაგი ერთხელ ვერ მოხვდა სწორ ადგილზე.

იონ დალ ტომასონი (მილანი) — ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ „კიევოსთან“ ტომასონი დაღლილი იყო. მას გოლის გატანის შანსი ჰქონდა, მაგრამ ის ნელა გაისარჯა, როგორც თვით გაბრიელ ბატისტუტაც კი არ ირჯებოდა „ინტერში“ თამაშის დროს.

პაპუნა კედია

ლუსიანო

ფილიპო ინძაგი

მაქსველის არია აიაქსელს სან სიროლა სტალა ჰგონია



„ინტერის“ მწვრთნელი, ალბერტო ძაკერონი ამბობს, რომ გაუთავებელი ლაპარაკი მის მომავალზე მასზე სრულებით არ მოქმედებს. არადა, დარჩება ძაკი „სან სიროზე“ თუ არა, მართლაც გაუგებარია. ფაქტია, რომ „ინტერის“ კოშმარული სეზონი ექტორ რაულ კუპერის ხელში რომ დაიწყო, მან სასიკეთოდ ვერ შემოატრიალა.

„ვისაც მწვრთნელობა უნდა, ასეთი სიტუაციებისთვის მზად უნდა იყოს — განგვიმარტავს ძაკერონი — ამწუთას ჩემი მიზანია ეს სეზონი შეძლებისდაგვარად წარმატებით დავასრულოთ, ხოლო შემდეგ ვნახოთ, რა მოხდება“.

„ლაციოსა“ და „მილანში“ ნამუშევარი ძაკერონის შემცვლელად იტალიურ პრესაში ბევრს ასახელებენ, თუმცა ყველაზე ხშირად „ლაციოს“ დღევანდელი თავკაცის, რობერტო მანჩინის სახელი ისმის.

„სხვა გუნდს ჩემთვის თანამშრომლობა არ შემოუთავაზებია — ამბობს თავის მხრივ მანჩინი — ადრეც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, რომ „ინტერის“ ამბავი ჭორია. მინდა საკონტრაქტო ვადის ამოწურვამდე „ლაციოში“ დავრჩე, სადაც თავს ბედნიერად ვგრძნობ“.

და, ბარემ, რადგანაც „სან სიროზე“ ვართ, „მილანის“ ამბებიც ვთქვათ — „შავ-წითლების“ პრეზიდენტი და იტალიის პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი ამბობს, რომ ხმები, თითქოს „იუვენტუსის“ მიერ „ბარსელონაში“ გაშვებული ედგარ დავიდსი „მილანმა“ უნდა დაიბრუნოს (დავიდსი ადრე „მილანში“ გამოდიოდა) ტყუილია.

„მგონი, მისი „ბარსელონისთვის“ გამორთმევა იოლი საქმე არ უნდა იყოს. კატალონიელები ედგარზე იმედებს ამყარებენ და ვერ ვხედავ ხერხს, რომლითაც ჰოლანდიელს ვინმე გამოიტყუებდა. „მილანთან“ დაკავშირებით კი იმის თქმა მსურს, რომ ბოლო სამ წელიწადში გაწეული დიდძალი ხარჯის შემდეგ, ვფიქრობ, დასვენება გვჭირდება. სატრანსფერო ფანჯარა რომ გაიღება მხოლოდ ერთ მცველს გადავიბირებთ, მნიშვნელოვან სავაჭრო ოპერაციას კი არ ჩავატარებთ“ — თქვა ბერლუსკონიმ, რომელსაც ის მცველი არ დაუზუსტებია, მაგრამ ეჭვია, რომ ლაპარაკია „ლაციოში“ მოთამაშე ჰოლანდიელ იაპ სტამზე.

„აიაქსის“ გარემარბი მაქსველი კი ამბობს, რომ „მილანში“ თამაში სურს და ამ გუნდში გადასვლა მისი მიზანია. შეგახსენებთ, რომ მაქსველი ბრაზილიელია, რომლის შეძენასაც ოდესღაც ბევრი ევროპული კლუბი ცდილობდა, მათ შორის „მანჩესტერ იუნაიტედიც“.

„ჩემთვის „სან სირო“ ჯადოსნური ადგილია — თქვა ბრაზილიელმა იტალიური „ტუტო სპორტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში — ეს იგივეა, რაც ოპერის მომღერალისთვის „ლა სკალა“. მე „სან სიროზე“ ნამყოფი ვარ როგორც „აიაქსის“ მოთამაშე და სამწუხაროდ, დავმარცხდი. „მილანში“ ჩემი კერპი ანდრეა პირლოა. ის ორკესტრის ნამდვილი ხელმძღვანელია. სწორედ ის ადუღაბებს „მილანის“ თამაშს. მე დღეს ვოცნებობ, რომ ოდესმე პირლოსა და კაკას გვერდით ვითამაშებ“.

პაპუნა კედია

ბრაზილიური

გერმანია

ბუნდესლიგა. XXVI ტური

პირველ წრეში „შტუტგარტმა“ ბრემენში „ვერდერი“ დაამარცხა, მაგრამ იგივე შინ ვერ გაიმეორა. ისეთი თამაში იყო, რომ როგორი შედეგითაც არ უნდა დასრულებულიყო, არავის გაუკვირდებოდა.

შეხვედრის დასაწყისშივე მარსელო ბორდონს თავით დარტყმული ბურთი ანდრეას რაინკემ კარშიღა დაინახა.

ბრემენელმა „მუსიკოსებმა“ სიპასუხოდ ორკაცა კომბინაციით ექვსი მასპინძელი მეტოქე გააბითურეს — აილტონის პასით კლასნიჩმა საჯარიმოს გარედან გაათანაბრა.

„შტუტგარტის“ ბრაზილიელ მცველ ბორდონის მატჩამდე სამიზნე კარგად ჰქონდა გასწორებული, რადგან კიდევ ორი გოლი გაიტანა.

ტაიმის შუაწელში მან ჯარიმა შეასრულა და ბურთი უხეიროდ დაყენებულ კედელში გააძვრინა. რაინკეს ნახტომი ძელიდან ძელამდე ამაო გამოდგა.

კლასნიჩი ბორდონს შეჯიბრში არ ჩამორჩა და „ვერდერის“ მორიგი კონტრშეტევა ზუსტი დარტყმით დაასრულა.

დღესასწაული შტუტგარტში

შესვენებამდე წუთით ადრე აილტონმა ნახევრადიღბალა გოლი გაიტანა. ჰილდებრანდს სუსტად გაგზავნილი ბურთის მოგერიება შეეძლო, მაგრამ ხელი უხეიროდ მოიქნია და ვერ შეაჩერა — ბრემენელები დაწინაურდნენ. უკვე მეორე ნახევრის დასაწყისში მასპინძელმა ბრაზილიელმა იყოჩაღა. ოცდაათიოდ მეტრიდან ბურთი რაინკეს კარში ისე შეჭედა, რომ „ვერდერის“ მეკარე დაიბნა და ვერ მიხვდა, რომელი კუთხისკენ წასულიყო.


მარსელო ბორდონი

მატჩის ბოლო აფეთქება შეხვედრის დასრულებამდე ოცი წუთით ადრე მოხდა. მარკო სტრელერმა და აილტონმა თითო გოლი უცბად გაცვალეს.

სტუმარი კრისტიან შულცი ამის შემდეგ გააძევეს და კაცმეტ „შტუტგარტს“ მეტოქის უმცირესობის გამოსაყენებლად საკმაო დრო ჰქონდა, მაგრამ ვერ შეძლო.

„ჰამბურგმა“ ყოფილი მწვრთნელის, კურტ იარას გუნდი „კაიზერსლაუტერნი“ მიიღო და უქულოდ გაისტუმრა. კრისტიან რანის წყვილ გოლს და ბერნარდოს მესამეს „კაიზერმა“ კლოზესა და ხრისტოვის ორით უპასუხა.

ვაჟა ხუციშვილი


აილტონი

საფრანგეთი

I დივიზიონი. XXX ტური

ჯაჯეჯე

ტურის ბოლო სამ შეხვედრაში რამდენიმე საინტერესო ამბავი მოხდა. ლანსში მასპინძლებმა პსჟ-ს 17-მატჩიანი წაუგებელია სერია დაასრულეს. პარიზელები მარცხმა ლიდერებისგან ექვსქულიანი სხვაობით მოწყვიტა და ჩემპიონობის შანსი შეუმცირა.

შარლ ედუარდ კორიდონმა თამაშის დაწყებიდან ნახევარ საათში დედაქალაქელთა კარში ერთი და გამრჯვების გოლი გაიტანა. კორიდონმა დარტყმამდე მცველი ფინტით ჩამოიცილა და ჟერომ ალონზოს შანსი არ დაუტოვა.

სტუმრებს საუკეთესო მომენტი შეხვედრის დასრულებამდე 15 წუთით ადრე ჰქონდათ. უმეთვალყურეოდ დარჩენილი ფრედერიკ დეუს თავით დარტყმულს შარლ იტანჟე ვერ მისწვდა, მაგრამ ბურთი ხარიხას მოხვდა.

მატჩის 71-ე წუთზე პარიზელთა შემადგენლობაში მომხდარ ცვლილებებს შეიძლება არაჩვეულებრივი ვუწოდოთ, რადგან ბრანკო ბოშკოვიჩის ნაცვლად შესული ფეხბურთელის გვარია ჯაჯეჯე. ფრანკ ჯაჯეჯე საფრანგეთის მოქალაქეა, მაგრამ ალბათ აფრიკელი წინაპრები ჰყავს.

6 თებერვლის შემდეგ „ოსერს“ არ მოეგო და ბოლო ხანს მომჯობინებულ „ტულუზს“ შინ სძლია. ეინდჰოვენში უთამაშებელი ჯიბრილ სისე გამოკეთდა და დაბრუნება წყვილი გოლით აღნიშნა.

ანგარიში სტუმრებმა გახსნეს. სედრიკ ფოროს დარტყმული ბურთი გზად მცველს შეეხო და გეზნაცვალი კარში შევარდა.

კანგა აკალემ მარცხენა ფლანგიდან წამოწყებული შეტევა ხეირიანად დაასრულა, ჯიბრილ სისემ კი ტაიმის მიწურულს თავური დაჰკრა და მასპინძლები დააწინაურა.

მაეორე ნახევარში სისემ ტულუზელები მესამედ დაამწუხრა, თუმც ედუარდმ ანგარიშში სხვაობის შემცირება შეძლო — ფიბიენ კოლის მოგერიებულ ბურთს დაამატა.

ჟირონდული „ბორდოს“ პრეზიდენტმა ჟან ლუი ტრიომ გუნდის ახალგაზრდა მწვრთნელი მიშელ პავონს შრომა დაუფასა და კონტრაქტი გაუხანგრძლივა. პავონის დანიშვნის დღიდან „ბორდომ“ მეთექვსმეტედან მეთერთმეტე ადგილზე აინაცვლა და უეფას მეოთხედფინალში გააღწია. „მიშელი — მომავლის კაცია“ — თქვა ტრიომ.

ბორდოელებმა „ველოდრომზე“ ქუდლა მოიპოვეს. 19 წლის არგენტინელი პაბლო ფრანსიას გოლით დაწინაურებულ სტუმრებს კამელ მერიემმა მეორე ტაიმში გაუთანაბრა

ვაჟა ხუციშვილი

ამხანაგური მატჩები. 31 მარტი

კასანო

ანტონიო კასანო

ანტონიო კასანო ტრავმირებულია და ხვალ პორტუგალიასთან ამხანაგურ შეხვედრაში მონაწილეობას ვერ მიიღებს. სამაგიეროდ, ჯოვანი ტრაპატონის გუნდშია კრისტიან ვიერი.

კასანო კვირას, „რომასა“ და „ბოლონიას“ შეხვედრის დროს (1:2) დაშავებულა. მას მუხლი სტკივა.

ტრაპატონისთვის სასურველი ფეხბურთელებიდან არ იქნებიან ალესანდრო დელ პიერო, ალესანდრო ნესტა და ფაბიო კანავარო. კარში, ჯანლუიჯი ბუფონის დუბლიორად გამოიძახეს „რომას“ გოლკიპერი ივან პელიცოლი.

მოსალოდნელია, რომ ტრაპატონი 4-2-3-1 სისტემით ითამაშებს. „სკუადრა აძურას“ შემადგენლობაში „ბოლონიას“ გარემარბ კარლო ნერვოსაც ვიხილავთ.

პაპუნა კედია

პორტუგალია – იტალია

იტალია

მეკარეები: ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი), ივან პელიცოლი (რომა);

მცველები: დანიელე ადანი (ინტერი), ალესანდრო ბირინდელი (იუვენტუსი), ჩეზარე ნატალი (ბოლონია), მატეო ფერარი (პარმა), ჯუზეპე ფავალი, მასიმო ოდო (ორივე ლაციო), ჯუზეპე პანკარო (მილანი), კრისტიან პანუჩი (რომა);

ნახევარმცველები: მაურო კამორანეზი (იუვენტუსი), სტეფანო ფიორე (ლაციო), ჯენარო გატუზო, ანდრეა პირლო, მასიმო ამბროზინი (სამივე მილანი), კარლო ნერვო (ბოლონია), სიმონე პეროტა (კიევი), ფრანჩესკო ტოტი (რომა);

თავდამსხმელები: კრისტიან ვიერი (ინტერი), ბერნარდო კორადი (ლაციო), მარკო დი ვაიო, ფაბრიციო მიკოლი (ორივე იუვენტუსი)

ჰოლანდია – საფრანგეთი

საფრანგეთი

მეკარეები: ფაბიენ ბარტეზი (მარსელი), გრეგორი კუპე (ლიონი);

მცველები: მარსელ დესაი, უილიამ გალასი (ორივე ჩელსი), მიკაელ სილვესტრი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), ლილიან ტურამი (იუვენტუსი იტალია), ვილი სანიოლი, ბიქსენტ ლიზარაზუ (ორივე ბაიერნი, გერმანია), ჟან-ალენ ბუმსონგი (ოსერი);

ნახევარმცველები: ოლივიე დაკური (რომა, იტალია), კლოდ მაკელელე (ჩელსი, ინგლისი), სტიდ მალბრანკი (ფულემი, ინგლისი), ბრუნო შეირუ (ლივერპული, ინგლისი), ლუდოვიკ ჟიული (მონაკო), იოან მიკუ (ვერდერი, გერმანია), ბენუა პედრეტი (სოშო);

თავდამსხმელები: ტიერი ანრი (არსენალი, ინგლისი), დავიდ ტრეზეგე (იუვენტუსი, იტალია), პეგი ლუინდულა, სიდნეი გოვუ (ორივე ლიონი)

შვედეთი – ინგლისი

ინგლისი

მეკარეები: დევიდ ჯეიმსი (მანჩესტერ სიტი), პოლ რობინსონი (ლიდსი), იან უოქერი (ლესტერი), რობერტ გრინი (ნორვიჩი);

მცველები: ფილ ნევილი (მანჩესტერ იუნაიტედი), დენი მილსი (ლიდსი), გარეთ საუთგეიტი (მიდლსბრო), ჯონათან ვუდგეიტი (ნიუკასლი), ჯონ ტერი (ჩელსი), ჯეიმი კარაგერი (ლივერპული), ჯლოიდ სამუელი (ასტონ ვილა), ენტონი გარდნერი (ტოტენჰემი);

ნახევარმცველები: ნიკი ბათი (მანჩესტერ იუნაიტედი), სტივენ ჯერარდი (ლივერპული), დევიდ ბექემი (რეალი, ესპანეთი), ოუენ ჰარგრივსი (ბაიერნი, გერმანია), ჯო კოული, სკოტ პარკერი (ორივე ჩელსი), ალან ტომპსონი (სელტიკი, შოტლანდია), შონ რაიტ-ფილიპსი (მანჩესტერ სიტი), ჯერმენ ჯენასი (ნიუკასლი);

თავდამსხმელები: უეინ რუნი (ევერტონი), ემილ ჰესკი (ლივერპული), დარიუს ვასელი (ასტონ ვილა), ჯერმენ დეფო (ტოტენჰემი), ალან სმიტი (ლიდსი)

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. სამხრეთ ამერიკა

დღეს

არგენტინა — ეკვადორი | **ბოლივია — ჩილე**

ბიელსას პანღური

არგენტინის ნაკრების მწვრთნელმა მარსელო ბიელსამ ცოფები ყარა, რასაც ეროვნული გუნდიდან ორი მნიშვნელოვანი ფეხბურთელის, ხავიერ ძანეტის და კილი გონსალესის მოკვეთა მოჰყვა.

ბიელსა, რომელიც ისედაც ძალიან ნერვიული კაცია, იმან გადარია, რომ მილანის „ინტერმა“ ამ უქმეებზე ძანეტი და გონსალესი „რეჯინას“ წინააღმდეგ ათამაშა, მაშინ, როცა არგენტინის ნაკრები დღეს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ეკვადორს მასპინძლობს. იტალიიდან არგენტინამდე კი მოგეხსენებათ, გვარიანი მანძილია და კვირას ნათამაშები ფეხბურთელები სამშაბათს რას გამიკეთებენო — გაგიჟდა ბიელსა.

ჰოდა, შედეგიც სახეზეა — ინტერელები ნაკრებს მიღმა დარჩნენ.

თუმცა მეორე მხრივ, ცოტა უცნაურია, რატომ მოხვდა ნაკრებში ერნან კრესპო — „ჩელსის“ ფორვარდმა ამ უქმეებზე „ვულვერჰემპტონის“ წინააღმდეგ ითამაშა, მაგრამ ბიელსას ნაკრებიდან არ მოუკვეთია.

„ძანეტიც და კილიც ჩემი გადაწყვეტილებით გულმოკლულნი არიან, მაგრამ ეს გადაწყვეტილება ისევ მათ სასიკეთოდ მივიღე“ — თქვა ბიელსამ.

არგენტინას ოთხი ტურის მერე რვა ქულა აქვს, ეკვადორის წინააღმდეგ კი მწვრთნელმა ამ ფეხბურთელებს დაუძახა:

მეკარეები: პაბლო კავალიერო (სელტა, ესპანეთი), ფრანკო კოსტანცო (რივერ პლეიტი);

მცველები: რობერტო აიალა (ვალენსია, ესპანეთი), გაბრიელ პაინცე (პსჟ, საფრანგეთი), გონსალო როდრიგესი (სან ლორენსო), ნიკოლას ბურდისო (ბოკა ხუნიორსი);

ნახევარმცველები: სებასტიან ბატალია (ვილიარეალი, ესპანეთი), ხუან პაბლო სორინი (პსჟ, საფრანგეთი), პაბლო აიმარი (ვალენსია, ესპანეთი), ანდრეს დალესანდრო (ვოლფსბურგი, გერმანია), ხუან რომან რიკელმე (ვილიარეალი, ესპანეთი), ხავიერ მასკერანო (რივერ პლეიტი), ლუის გონსალესი (რივერ პლეიტი), კლემენტე როდრიგესი (ბოკა ხუნიორსი);

თავდამსხმელები: სესარ დელგადო (კრუზ ასული, მექსიკა), ერნან კრესპო (ჩელსი, ინგლისი), ხავიერ სავიოლა (ბარსელონა, ესპანეთი), კარლოს ტევესი (ბოკა ხუნიორსი), მარიანო გონსალესი (რასინგი).

პარეირა, პარაგვაი და ჯადოქრები





ბრაზილიის ეროვნული გუნდის დამრიგებელმა კარლოს ალბერტო პარეირამ „ო გლობოს“ კორესპონდენტთან ინტერვიუში ბარსელონელი რონალდინიოსა და მილანელი კაკას ჩაუქი ბურთაობა ძალიან მოიწონა, მაგრამ ისიც თქვა, სანაკრებო თამაშებში მათ პრიმერადივიზიონში თუ სერია A-ში ჩადენილი გმირობების განმეორებას ვერ მოვთხოვთო.

„ევროპაში ამ ბიჭებს დანარჩენ თანაგუნდელებთან შესათამაშებლად საკმარისი დრო აქვთ. ნაკრებში კი, სამწუხაროდ, იშვიათად ეძლევათ ერთად თამაშის შესაძლებლობა. ჩემი აზრით, ეროვნული გუნდს ვარჯიშისთვის მეტი დრო უნდა ჰქონდეს“ — დაიჩივლა ბრაზილიელთა მწვრი საწვრთნელი პაემნების შემხედვარე თავკაცმა.

კაკა, რომელიც „მილან“ — „დეპორტივოს“ ამასწინდელ საჩემპიონთალიგო დუელში ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ და რონალდინიო, ვინც მთელი კატალონიის სათაყვანებელ გმირად ითვლება, პარაგვაელებთან მომავალ შერკინებაში პარეირას ნაკრების ძირითადი მეომრები იქნებიან. 2006 წლის მუნდიალის შესარჩევი მატჩი ასუნსიონში ხვალ გაიმართება. მწვრთნელი კი მართალია, საწვრთნელი დროის უკმარისობას განიცდის, მაგრამ ჯადოსნური ბიჭების ოსტატობისა მაინც ეიმედება: „ორივე მოთამაშე ტექნიკურად საოცრად ძლიერია. ძალიან მიხარია რონალდოს ფორმაში ყოფნაც — „მონაკოსთან“ საჩემპიონთალიგო მეოთხედფინალში მშვენივრად გამოიყურებოდა. ჩემი აზრით, ბრაზილიის ნაკრებს მათი შემწეობით არც პარაგვაისა და არც უფრო ძლიერი მოწინააღმდეგეთა ძლევა უნდა გაუჭირდეს.“

ლადო ხომერიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობერტო კარლოსი გაიზარდა

რატომ არსენალი? შეხედეთ ჩელსის

რობერტო კარლოსი „რეალის“ ლეგენდათა მარაქაში გაერია — ჩია, მაგრამ გენიალურმა ბრაზილიელმა „რეალის“ შემადგენლობაში 396 მატჩი ჩაატარა და ამით დიდი ალფრედო დი სტეფანოს რეკორდს გაუტოლდა.

„რეალის“ ლეგენდას „მარკას“ ჟურნალისტი გაესაუბრა

— მატჩების რაოდენობით დი სტეფანოს გაუტოლდით...

— ეს ჩემთვის ბევრს ნიშნავს. ყველაზე მეტად კი ხალხის დაფასება და სიყვარული მახარებს. მთელი ამ ხნის განმავლობაში, რაც მადრიდში ვარ, „რეალისთვის“ თავი არ დამიზოგავს და ვიცი, რომ გულშემატკივრებს ეს შეუმჩნეველი არ რჩებათ. ალბათ ამ დიდებული კლუბის ისტორიას რაღაც მეც შევმატე.

— რობერტო კარლოსის სახელი ისტორიაში ისეთი ფეხბურთელების გვერდით ჩაიწერა, როგორებიც დი სტეფანო, პუშკაში, ხენტო იყვნენ...

— დიახ, ვიცი რომ „რეალის“ „უკვდავთა“ შორის ვითვლები. მთავარია, რომ გულშემატკივარს დავამახსოვრდე როგორც მოთამაშე, ვინც მოედანზე ყოველთვის კორექტულად იქცეოდა, რომელსაც ინჩასთათვის სიხარულის მოტანა და დიდი ჯილდოების მოპოვება სურდა. ჩემთვის უდიდესი სიამაყეა ძველ ლეგენდებს შორის მოხსენიება.

— 8 წელია, „რეალის“ მაისურით თამაშობთ, სხვაგან გადასვლაზე არ გიფიქრიათ და არც თქვენს ძალას მოჰკლებია რამე. ხომ ვერ გვეტყოდით, რა არის ამის საიდუმლო?

— განსაკუთრებული არაფერი, უბრალოდ, იმას ვაკეთებ, რაც ძალიან მომწონს, ანუ ფეხბურთს ვთამაშობ. ვარჯიშისა და მატჩების დროს ყველაზე მეტად ვერთობი, მაგრამ იმავდროულად პასუხისმგებლობაც არ მავიწყდება. ვფიქრობ, წარმატების საიდუმლო ევროპული ფეხბურთის სტილთან ჩემი იღბლიანი შეთავსებაა. უამრავ სამხრეთამერიკელს უჭირს ესპანეთსა თუ იტალიაში თამაში, მე კი ეს უცბად ავითვისე. თან ჩემი ოჯახი მადრიდში ყოფნით ბედნიერია, ამიტომაც სხვაგან წასვლას არ ვაპირებ. მსოფლიოში უდიდესი ჯილდოების მოსაპოვებლად „რეალი“ კარგ შესაძლებლობებს მთავაზობს.

— „რეალის“ შემადგენლობაში ჩატარებული მატჩებიდან რომელს გაიხსენებდით?

— რა თქმა უნდა, „ბარსა“ — „რეალის“ ნებისმიერ შეხვედრას, აი, ეს არის ესპანეთის ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩები. ასევე არასოდეს დამავიწყდება ამსტერდამში, ჩემპიონთა ლიგის ფინალში „იუვენტუსის“ დამარცხება. იქამდე დიდი ხანი არ აგვეღო ევროპული თასი და ამ გამარჯვებით ორმაგად გავიხარეთ.

— და გოლებიდან რომელს გაიხსენებთ?

— მგონი, ყველამ იცის, საჯარიმოების გატანა რომ მეხერხება, თუმცა ერთი გამორჩეული გოლის აღნიშვნა გამიძნელდება. ზოგადად ვიტყვი, რომ ბედნიერი ვარ, როცა ჩემი იღბლიანი ჯარიმის გამო აღფრთოვანებულ გულშემატკივრებს ვხედავ. განუმეორებელი გრძნობაა, როცა მთელი სტადიონი ლამაზი გოლისთვის ფეხზე წამომდგარი გეგებება...

— ესპანეთის თასის ფინალში „სარაგოსასთან“ დამარცხდით, არადა, თითქოს ყველაფრის მოგებას გეგმავდით...

— ზუსტად იგივე ხდება, რაც ორი წლის წინ — მაშინ „დეპორტივოსთან“ თასი წავაგეთ, ხოლო ჩემპიონთა ლიგის ფინალში ლევერკუზენის „ბაიერს“ ვძლიეთ. საამსეზონოდაც იგივეს ველოდები. „რეალი“ სადაც მონაწილეობს, ყველგან ფავორიტია. ჩვენს მოწინააღმდეგეებს ვურჩევ, მხედველობიდან არ გამორჩეთ ჩვენი სიძლიერე და თუ გამორჩებათ, მით უარესი მათთვის. მტკიცედ მჯერა, რომ ლიგის ფინალში წლეულსაც გავალთ და იქ მეტოქეზე უკეთესი შანსი გვექნება.

— პრიმერადივიზიონზე ვისაუბროთ. „ვალენსიას“ გარდა საჩემპიონო კონკურენტად „ბარსასაც“ მიიჩნევთ?

— ვნახოთ, უეფას თასიდან გამოთიშვის მერე ესპანეთის ჩემპიონატში როგორ ითამაშებს. „ბარსა“ საშიში გუნდია, კვირიდან კვირამდე საოცარი ტემპით ძლიერდება.

— ევროპაში ახლა ბევრს ლაპარაკობენ „მილანის“ უძლეველობაზე. თქვენ ეს არ გაფრთხობთ?

— მაშინ „არსენალისაც“ უნდა გვეშინოდეს. ვერავინ დაგვაფრთხობს, თუმცა მეტოქეების სიძლიერეს ვაღიარებ — „მილანს“ დიდი მოთამაშეები ჰყავს, „არსენალი“ კი ამ სეზონში შეუდარებლად თამაშობს.

— ამ სამი გრანდიდან დღეს უფრო რთულ მდგომარეობაში „რეალია“. ესპანეთის ჩემპიონატში ლიდერობთ, მაგრამ სხვა გუნდები ძალიან დიდ წინააღმდეგობას გიწევენ...

— როგორ შეიძლება პრიმერადივიზიონის ინგლისურ ან იტალიურ ლიგებთან შედარება? იქ ლიდერი თითქმის ყველა მატჩს იგებს, ჩვენთან კი ნებისმიერ აუტსაიდერს შეუძლია პირველადგილოსანს ნამდვილი ჯოჯოხეთი მოუწყოს. „სარაგოსას“ შეხედეთ — ჩემპიონატში ცუდად გამოდის, მაგრამ კოპა დელ რეიზე ღირსეული წინააღმდეგობა გაგვიწია.

— ლიგის ნახევარფინალში თუ გახვედით, „არსენალის“ დამარცხების იმედი გექნებათ?

— კი, მაგრამ რატომ „არ'ენალი“? ჯერ გავარკვიოთ, იქნებ „ჩელსისთან“ გვიწევს ბრძოლა. „არსენალი“ „ჩელსის“ უნდა უფრთხოდეს. მართალია, „არსენალი“ ფავორიტია, თუმცა, ჩემი აზრით, ნახევარფინალში „ჩელსი“ ითამაშებს.



მირეიას რონალდო

კიჭამ ბარსელონას ქალი წაართვა

ბართობა-ქეიფის მოყვარულს და მექალთანე რანალდოს თუ ახალი ტურფა გამოუჩნდება, ვის გაუკვირდება, მაგრამ ახლა უფრო საინტერესო მოვლენასთან გვაქს საქმე და გირჩევთ, ცოტა ყურადღებით დახედოთ ამ ფოტოს. იცნობდეთ, ეს ტანკენარი გოგო მირეია კანალდაა, 21 წლის კატალონიელი მოდელი, ძალიან SYMPATICA Y GRACIOSA — როგორც იქაური „ელ კომერსიოს“ ჟურნალისტები იტყვიან. გუშინ ბარსელონურ „სიტი TV“-სთან ინტერვიუში მირეიამ კეკლუცად განაცხადა, მე და „რეალის“ ვარსკვლავს სასიყვარულო ურთიერთობანი გვაკავშირებსო. მერე ისიც თქვა, ტყუილია, თითქოს შავტუხა რონის რძესავით თეთრი და სავსემკერდიანი ქალები მოსწონთო. „შემომხედეთ, შავგვრემანი ვარ და დიდი მკერდითაც ვერავის გავაკვირვებ“ — უშუალოდ შეაფასა თავისი მონაცემები სენიორიტა კანალდამ.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ განსაკუთრებული აქ რა არისო, ეგებ იკითხოთ მორიგი სამხრეთამერიკული ანცობის შემხედვარემ.

რონის ძლიერ მოსწონს, როცა „ბარსელონაზე“ ვსაუბრობთ. მიუხედავად იმისა, რომ მე „რეალის“ წევრი მიყვარს, „ბარსას“ ქომაგობაზე უარი არასოდეს მითქვამს. ერთმანეთს კარგად ვუგებთ, სერიოზულად არ ვკამათობთ და, თქვენ წარმოიდგინეთ, ფეხბურთშიც არაფერი გვაქვს გასაყოფი“ — ლამაზად გაამხილა მირეიამ კიჭას კატალონიური სიმპათიები.

ლადო ხომერიკი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბექემს ჰოლივუდმა ვარდისფერი შესთავაზა





დევიდ ბექემი და ჟან რენო შესაძლოა თანაგუნდელები გახდნენ

დევიდ ბექემი რუუდ ვან ნისტელროიმ ქორწილში ვერ დაპატიჟა, სამაგიეროდ, რეალელს ოკეანის გაღმა ეპატიჟებიან, ოღონდ ქორწილში კი არა, ჰოლივუდში, კინოში სათამაშოდ.

ამერიკელები კომედიური ჟანრის ტელესერიალ „ვარდისფერი პანტერას" გადაღების გაგრძელებას აპირებენ. ამ სერიალში პოლიციის ფრანგი ინსპექტორის როლს პიტერ სელერსი ასრულებდა, ახლა კი ცნობილი კომიკოსი სტივ მარტინი მიუწვევით.

ამბობენ, რომ დევიდ ბექემს კინოში როლი სწორედ მან შესთავაზა. ფეხბურთელის წარმომადგენელმა ეს ამბავი დაადასტურა, რეალელი კი ჯერჯერობით ფიქრობს. ვერ გადაუწყვეტია, სცადოს თუ არა ბედი კინოში. მას აქამდე მხოლოდ სარეკლამო რგოლებში იღებდნენ.

თანხმობის შემთხვევაში, ფეხბურთელის პარტნიორები ფილმში სავარაუდოდ, ჟან რენო და პოპვარსკვლავი ბეიონსი იქნებიან.

სიუჟეტის მიხედვით, პოლიციელი სტივ მარტინი საფეხბურთო გუნდის მწვრთნელის მკვლელობის და ბრილიანტების გატაცების საქმეს იძიებს.

აქვე გავიხსენოთ, რომ ერთი კვირის წინ უელსის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა და ამჟამად კინომსახიობმა ვინი ჯონსმა გადასაღებ მოედანზე დევიდ სიმენი დაპატიჟა, ისე კი, რა თქმა უნდა, საინტერესო იქნება მსახიობი ბექემისა და სიმენის ეკრანზე ნახვა.

ვაჟა ხუციშვილი

ფეხბურთის რუკასთან

იტალიური „იუვენტუსი" გადაბერებული უკანა ხაზის გადახალისებას აპირებს. თითქმის გადაწყვეტილია, რომ „ბებერ ქალბატონს" პარმელები, მატეო ფერარი და დანიელე ბონერა შეუერთდებიან. საუბრობენ „რომას" არგენტინელ მცველ ვალტერ სამუელზეც. ტურინელებს ზემოხსენებული ტრანსფერების განხორციელება საკმაოდ ძვირი დაუჯდებათ, თანხის მოძიებას კი ამჟამად სერია A-ს კლუბებში განათხოვრებული ახალგაზრდა ფეხბურთელების: მატეო ბრიგის, ჯუზეპე სკულისა და მანუელე ბლაზის გაყიდვით აპირებენ.

შვედი ფრედერიკ ლიუნგბერგის „რეალში" შესაძლო გადასვლაზე უკვე აქედანვე ლაპარაკობენ. თავად ფეხბურთელმა კი ახლახან „არსენალის" ქომაგები დაამშვიდა, არსად წასვლას არ ვაპირებო: „ინფორმაცია გაზეთების საშუალებით გავიგე. მართლაც მსიამოვნებს, რომ ჩემით ისეთი კლუბი დაინტერესდა, როგორიც მადრიდის „რეალია", თუმც „არსენალთან" განშორება ჩემს გეგმებში არ შედის. ჩვენ უკვე დავამტკიცეთ, რომ ევროპულ გრანდებს ნელ-ნელა ვუტოლდებით და კლუბის დატოვება რატომ უნდა მინდოდეს?" — ამბობს ლიუნგბერგი.

ჰოლანდიური „აიაქსს" სეზონის ბოლოს 33 წლის ფინელი თავდამსხმელი იარი ლიტმანენი დატოვებს. ამსტერდამელთა გენერალური მენეჯერი არი ვან ეიდენი ამბობს, რომ იარის ახლანდელი ფიზიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, იგი ვერ შეძლებს ისეთი შედეგის ჩვენებას, როგორსაც გულშემატკივრები მისგან ელიან და აქედან გამომდინარე, კონტრაქტს აღარ გაუგრძელებენ.

ჩეხური „სპარტა" დროებით გუშინდლამდე უმწვრთნელოდ იყო დარჩენილი. კლუბის პრეზიდენტმა ვლასტიმილ კოსტალმა, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გასვლის მიუხედავად, ირჟი კოტრბას ეროვნულ ჩემპიონატში გუნდის უსუსური თამაში არ აპატია და პოსტიდან დაითხოვა. არადა, ორი კვირის წინ, პრაღელებმა პრინციპული მატჩი მოუგეს თანაქალაქელ „სლავიას" და საჩემპიონო შანსებიც დაიტოვეს მაგრამ... კოტრბას შემცვლელს მალე ვიპოვითო, უთქვამს პრეზიდენტს და გუშინ „სპარტას" ახალი თავკაციც დაუნიშნეს: წარსულში კლუბის ყოფილი ფეხბურთელი ფრანტიშეკ სტრაკა.

იტალიურმა „იუვენტუსმა" თავის ერთ-ერთ წამყვან მოთამაშეს, ჯანლუკა ძამბროტას კონტრაქტი 2008 წლამდე გაუხანგრძლივა: „მიხარია, ტურინში დარჩენა ყოველთვის მსურდა. „იუვენტუსი" მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი კლუბია" — განაცხადა კმაყოფილმა ძამბროტამ. აქვე გეტყვით, რომ „ბებერ ქალბატონში" იგი 1999 წელს „ბარიდან" გადავიდა.

ფრანგული „მონაკოს" „რეალთან" ჩემპიონთა ლიგის საპასუხო მეოთხედფინალურ მატჩში მცველი სებასტიან სკილაჩი და შუახაზელი ტაკის ზიკოსი ტრავმების გამო დააკლდებიან. სკილაჩი გასულ შაბათს „ლე მანთან" მატჩისას დაშავდა და ერთ თვეს ვერ ითამაშებს, ხოლო ბერძენი ნახევარმცველი ძველი ტრავმის მოშუშებას ვერ ასწრებს — მას კიდევ 15 დღე მოუწევს უქმობა.

იტალიური „მილანის" ვიცე-პრეზიდენტ ადრიანო გალიანის თქმით, ახალი სეზონიდან კლუბი სატრანსფერო ბაზარზე არ გამოჩნდება. „ჩვენ არ ვსაჭიროებთ მნიშვნელოვან გაძლიერებას. თუ ჩვენ დასახულ მიზანს ბოლომდე მივაღწიეთ, დარწმუნებით ვიტყვი, რომ გუნდიდან არავინ წავა. გასული სეზონის ბოლოს ყველა ფეხბურთელი იმსახურებდა კლუბში დარჩენას და ასეც მოხდა. იგივე იქნება ამჯერადაც. „მილანი" ფეხბურთელებს ფულის გულისთვის არასდროს ყიდის. პრეზიდენტი სილვიო ბერლუსკონი ყოველთვის ამბობდა, რომ ფეხბურთელი ნივთი არ არის, რომლის საშუალებითაც გუნდი ფინანსურ მდგომარეობას უნდა იუმჯობესებდეს" — თქვა გალიანმ.

შვედი ფორვარდი ჰენრიკ ლარსონი შესაძლოა, პირეოსის „ოლიმპიაკოსში" აღმოჩნდეს. „ბერძნული კლუბის წარმომადგენლებს შევხვდი და უნდა ვთქვა, რომ ლარსონის „ოლიმპიაკოსში" გადასვლა სავსებით რეალურია. ისინი მზად არიან, ჰენრიკის ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილონ" — განაცხადა ფეხბურთელის აგენტმა რობ იანსენმა. ის, რომ სეზონის ბოლოს ლარსონი „სელტიკს" დატოვებს, ფაქტობრივად გადაწყვეტილია.

ჰოლანდიური ფეხბურთის ვეტერანმა დენის ბერხკამპმა კიდევ ერთხელ გამორიცხა მისი ეროვნულ გუნდში დაბრუნების შესაძლებლობა. „ეს საუბრები უჩემოდ დაიწყეს, მაგრამ მე 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ მტკიცედ გადავწყვიტე, რომ ნაკრებში აღარ ვითამაშებდი და აზრის შეცვლას არც ახლა ვაპირებ" — აღნიშნა ბერხკამპმა.

ბელგიის ნაკრების ყოფილი თავკაცი რობერ ვასეჟი აპრილიდან ალჟირის ეროვნულ გუნდს ჩაიბარებს. ამ პოსტიდან ცოტა ხნის წინ აფრიკის თასის მეოთხედფინალში მაროკოსთან წაგების გამო რაბახა საადნე დაითხოვეს. სავარაუდოდ ვასეჟი წელიწადში 25 ათას ევროს მიიღებს.

ბრიტანული გაზეთები წერენ, „ლივერპულის" მეგოლე-ვარსკვლავი მაიკლ ოუენი სეზონის ბოლომდე კლუბთან ერთი წლით გაახანგრძლივებს კონტრაქტსო, თუმც კომენტარი ამის თაობაზე არც კლუბს და არც ფეხბურთელს ჯერჯერობით არ გაუკეთებიათ.

ყატარული ტელევიზიის „ალ-ჯაზირას" ცნობით, უახლოეს მომავალში იქაურ კლუბ „ელ-რაიანს" ვისენტე დელ ბოსკე ჩაიბარებს. კიდევ ერთი ყოფილი მადრიდელი, ფერნანდო იერო სწორედ ამ კლუბში ზაფხულიდან თამაშობს და არაა გამორიცხული, არაბებს დელ ბოსკეს კანდიდატურა სწორედ იეროს შეეთავაზებინა.

დანია

I დივიზიონი. XVII ტური

ბ-1913 ოდენსე — კიოგე 0:1; ბრიონსპინოი — ბ-93 კოპენჰაგენი 2:0; ნორდიულანდი — სიონდერიულანდი 0:3; სკიოლდი — ფრედერისია 1:1; რანდერსი — ჰორსენსი 2:0; ნიკიობინგი — ფკ ორჰუსი 3:1; სილკებორგი — ფრემადი 2:1; ვაილე — იოლსტიკე 1:3

სლოვაკეთი

I ლიგა. XXIII ტური

ინტერი — დუბნიცა 1:0; რუზომბეროკი — ბუხოვი 3:0; ტრნავა — ბანსკა ბისტრიცა 1:1; ტრენჩინი — ჟილინა 1:0; პეტრჟალკა — სლოვანი 1:1

სერბეთი

პრეა ლიგა. XXII ტური

ქვეყანაში მომხდარი ტერაქტების გამო ტური მთლიანად გადაიდო

სლოვენია

სი მობილ ლიგა. XXI ტური

დრავოგრადი — ნოვა გორიცა 0:1; პრიმორიე — კოპერი 5:2; შმარტნო — ბტუი 1:1; დომზალე — მურა 0:1; ლიუბლიანა — ოლიმპია 0:1; მარიბორი — ბუბლიკუმი 3:0

უნგრეთი

ბორსოდი ლიგა. XX ტური

ბეკეშაბა — მტკ 1:2; ბალატონი — შოპრონი 0:0; ფერენცვაროში — დებრეცენი 0:0; დიორ ეტო — ბეჩი 1:1; ვიდეოტონი — უიპეშტი 0:2; ჰალადაში — ზალაეგერსეგი 0:1

მექსიკა

კლასურა. XII ტური

ვერაკრუსი — ტიგრესი 1:0; კრუზ ასული — ტოლუკა 3:1; მონტერეი — მორელია 1:1; ამერიკა — პაჩუკა 1:2; სან ლუისი — ატლანტე 0:0; ატლასი — ხაგუარესი 0:0; უნამი — გვადალახარა 3:0; ირაპუატო — სანტოს ლაგუნა 0:3; პუებლა — ნეკაქსა 2:2; ტეკოსი — კერეტარო 1:2

ხორვატია

ნაციონალლიგა

პლეი ოფი. XXIII ტური

დინამო — ვარტექსი 4:1; ჰაიდუკი — ზადარი 5:1; რიეკა — ოსიეკი 2:1

პლეი აუტი. XXIII ტური

ინტერი — ზაგრები 0:1; სლავენი — ციბალია 2:0; კამენი — მარსონია 0:0

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურები. კონკაკაფი

საპასუხო მატჩები

კუბა 3:0 კაიმანის კ-ები (2:1)

ფინალში 13 ივნისს კუბა და კოსტა რიკა შეხვდებიან

სურინამი 8:1 არუბა (2:1)

ფინალში 13 ივნისს სურინამი და გვატემალა შეხვდებიან

სენტ ლუსია 9:0 ბრიტ. ვირჯინიის კ-ები (1:0)

ბაჰამა 1:3 დომინიკა (1:1)

პორტუგალია

სუპერლიგა. XXVIII ტური

ბენფიკა 2:0 ალვერკა

1:0 შოკოტა (6), 2:0 ლუიზაო (16)

პორტუ	27	22	5	0	58:15	71
სპორტინგი	28	20	4	4	50:27	64
ბენფიკა	28	18	6	4	52:25	60
ბრაგა	28	13	8	7	28:28	47
ნასიონალი	27	14	4	9	45:28	46
რიუ ავე	28	10	11	7	37:25	41
მარიტიმუ	28	9	12	7	28:27	39
ბოავიშტა	28	9	11	8	25:23	38
ბეირა მარი	28	10	6	12	35:38	36
მორეირენსე	28	8	10	10	23:28	34
ლეირია	28	8	9	11	36:42	33
ჟილ ვისენტე	27	7	10	10	36:33	31
ალვერკა	28	8	5	15	29:39	29
აკადემიკა	28	8	4	16	26:34	28
გიმარაეში	28	5	10	13	26:37	25
ბელენენსეში	27	5	10	12	28:48	25
ფეირეირა	28	7	3	18	20:42	24
ამადორა	28	3	4	21	18:61	13

არგენტინა

კლასურა. VII ტური

რასინგი — ჩაკარიტა 2:1; ესტუდიანტესი — სან ლორენსო 1:1; ტალიერესი — ველესი 1:0; ოლდ ბოიზი — კოლონი 0:1; ნუევა ჩიკაგო — ხიმნასია 1:2; კილმესი — ბანფილდი 1:0; რივერ პლეიტი — არსენალი 5:0; ატლეტიკო — როსარიო 3:1; ლანუსი — ბოკა ხუნიორსი 0:3; ინდეპენდიენტე — ოლიმპო 1:0

ტალიერესი	7	6	1	0	16:4	19
ბოკა ხუნიორსი	6	4	2	0	14:6	14
რივერ პლეიტი	7	4	1	2	20:10	13
რასინგი	7	4	1	2	13:11	13
კოლონი	7	4	1	2	8:9	13
ველესი	7	3	2	2	14:11	11
ინდეპენდიენტე	7	3	2	2	10:8	11
სან ლორენსო	7	2	4	1	9:7	10
ნუევა ჩიკაგო	7	2	4	1	11:10	10
კილმესი	7	2	3	2	8:9	9
ხიმნასია	7	2	2	3	11:8	8
ატლეტიკო	7	2	2	3	10:11	8
ბანფილდი	7	2	2	3	7:8	8
ესტუდიანტესი	7	2	2	3	6:10	8
ლანუსი	7	2	1	4	9:12	7
არსენალი	7	1	3	3	8:14	6
ოლდ ბოიზი	7	0	5	2	9:11	5
ოლიმპო	7	1	2	4	7:14	5
როსარიო	7	1	1	5	6:15	4
ჩაკარიტა	6	0	3	3	5:13	3

პოლონეთი

I ლიგა. XVI ტური

ლეგია — პოლონია 7:2; სვიტი — კატოვიცე 2:1; ვიძევი — ოდრა 0:1; პლოცკი — ლუხი 4:4; გურნიკი — ვისლა 0:4; ამიცა — პოლკოვიცე 3:0; გროცლინი — ლეჩნა 4:0

ვისლა	16	13	0	3	46:19	39
ამიცა	16	11	3	2	32:14	36
ლეგია	16	10	5	1	32:13	35
გროცლინი	16	9	4	3	40:12	31
პლოცკი	16	6	5	5	25:25	23
ლეჩნა	16	7	2	7	16:26	23
გურნიკი	16	5	6	5	17:20	21
კატოვიცე	16	6	3	7	14:29	21
ოდრა	16	5	4	7	19:26	19
ლუხი	16	4	5	7	27:25	17
პოლკოვიცე	16	3	3	10	12:25	12
პოლონია	16	2	6	8	13:29	12
ვიძევი	16	2	5	9	16:27	11
სვიტი	16	1	5	10	10:29	8

...და ან ცაზე ვარსკვლავები

ოხერი პროტესტანტი კენი დალგლიში



ვიდრე თავი ნაწილებად დასკდება

„ლივერპულის“ ქომაგს თუ ჰკითხავთ, ვინ მიაჩნია კლუბის ისტორიში საუკეთესო ფეხბურთელად, პასუხად ალბათ კენი დალგლიშის გვარს და სახელს მოისმენთ. ისე, რომ არა დალგიში, იქნებ კევინ კიგანიც დაესახელებინა, მაგრმ საქმე ისე მოექცა, რომ 1977 წელს, როდესაც კიგანი „ლივერპულიდან“ წავიდა, კერპის შემცვლელად იქ სწორედ დალგლიში მიიყვანეს და მანაც გაამართლა — საუკეთესოთა შორის საუკეთესო არათუ შეცვლა, არამედ, ბევრი რამით გადაჭარბა კიდეც

საოცარია, „ლივერპულსა“ და „სელტიკში“ დალგლიშმა ცამეტჯერ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული, თუმცა რატომ ცამეტჯერ? განა ცოტა შემთხვევა ვიცით, როდესაც ფეხბურთელი ამა თუ იმ შეჯიბრების მხოლოდ ერთ თამაშში იღებს მონაწილეობას და ამის გამო მოცემულ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ითვლება? და თუ ასეა, დალგლიშს რატომ არ უნდა მივუთვალოთ ჩემპიონატები, სადაც მან ბევრჯერ არა, მაგრამ ერთზე მეტჯერ ითამაშა? ჰოდა, გამოდის, რომ „ლივერპულის“ ლეგენდა თხუთმეტჯერ ყოფილა ტიტულის მფლობელი, ოღონდ აქ ვათვლით იმ ორ შემთხვევას (1988, 1990) როდესაც იგი გუნდის მოთამაშე მწვრთნელი იყო და იმ შემთხვევას (1995), როდესაც იგი „ბლექბერნს“ წვრთნიდა ანუ ჯილდო მწვრთნელობით მოიპოვა.

კიდევ: სამჯერ ევროპის ჩემპიონთა თასი, ოთხჯერ შოტლანდიის თასი, სამჯერ ინგლისის თასი, ზედიზედ ოთხჯერ ინგლისის ლიგის თასი და სხვა უფრო წვრილ-წვრილიც. და ცნობისთვის, ამ მართლაც ყოვლად ლეგენდარულ კაცს როგორც ინგლისში, ასევე შოტლანდიაში, მოგებული

აქვს ორივე თასი, პლუს ჩემპიონობა.

მაშ, რატომ არ ვასახელებთ კენი დალგლიშს იმ ხალხის გვერდით, ვინც... ნუ, ერთი სიტყვით, გასაგებია ვის გვერდითაც, იმიტომ, რომ ის ხალხი დიდი საფეხბურთო ქვეყნების შვილები იყვნენ, ხოლო შოტლანდიის ნაკრებმა 1974, 1978 და 1982 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებზე მხოლოდ პირველ ეტაპზე წაიბურთავა. ერთი სიტყვით, დალგლიშს ნაკრებმა ვერ შეუწყო ხელი და ის, რომ მის შემადგენლობაში სარეკორდო 102 შეხვედრა ჩაატარა და 30 გოლი გაიტანა, მსოფლიო მასშტაბით არაფერს ნიშნავს.

ამასთან, ვფიქრობთ, კიდევ არის ერთი მიზეზი: ინგლისურ კლუბებს 1985 წელს, „ეიზელის“ ტრაგედიის გამო ევროპულ სარბიელზე გამოსვლა ხუთი წლით აუკრძალეს, არადა, ეს ის წლებია, როდესაც მოთამაშე მწვრთნელი, კენი დალგლიშის ხელმძღვანელობით „ლივერპული“ დიდებულ ფეხბურთს სთავაზობდა... სამწუხაროდ, მხოლოდ ბრიტანელ მაყურებელს. ევროპამ ის გუნდი ვერ ნახა, გამოეპარა.

„კენი ბურთს ისე ფარავდა, ფეხებს ისე დგამდა და იდაყვებს ისე იჭერდა, რომ როგორც არ უნდა მიდგომოდი, ზურგს მიეხლებოდი“ — იგონებს დღეს ცნობილი მწვრთნელი დევიდ ოლირი, რომელსაც ახალგაზრდობაში უამრავჯერ მოსწევია მის წინააღმდეგ თამაში.

მართლაც, დალგლიშის ბურთის ფლობის ყაიდა ძალიან საინტერესო და უცნაური იყო, თუმცა უცნაური იყო თავად ამ ადამიანის კარიერაც. მაგალითად, თუ მიაქციეთ ყურადღება, ზემოთ „სელტიკი“ ვახსენეთ, ოღონდ იქ არ გვითქვამს, რომ ჩვენი წერილის გმირი პროტესტანტი გახლავთ, „სელტიკი“ კი კათოლიკეთა გუნდია.

ერთი სიტყვით, იმის თქმა გვსურს, რომ კენი დალგლიში ჩვეულებრივი გლაზგოური ლოგიკით „რეინჯერსის“ მოთამაშე უნდა გამხდარიყო, მაგრამ... „რეინჯერსმა“ იგი არ აიყვანა. „რეინჯერსს“ გარეთ დარჩენილმა ხან „ვესტ ჰემში“ სცადა მოწყობა, ხან „ლივერპულში“ (!), მაგრამ ამაოდ და აი, ასეთ დროს მხსნელად არც მეტი, არც ნაკლები, „სელტიკი“ მოევლინა.

საინტერესოა თვით კონტრაქტზე ხელმოწერის ისტორია. ეს 1967 წელს მოხდა. კენი დალგლიში ძალიან განიცდიდა ამ რელიგიურ გაუგებრობას და ნაბიჯის გადადგმა მეტისმეტად უჭირდა. მეორე მხრივ, თითქოს, ყველაფერი მოლაპარაკებული და გარკვეული ჰქონდა.

მოკლედ, როდესაც „სელტიკს“ ლეგენდარული მწვრთნელის, ჯოკ სტინის ასისტენტი შონ ფალონი შინ ეწვია, მანქანაში ცოლი და სამი შვილი დასტოვა. ფალონს ეგონა, საბუთებს შეარბენინებდა, ბიჭს ხელს მოაწერინებდა და თავისი ქორწინების რომელიღაც წლისთავს ეკლესიაში აღნიშნავდა. ერთი სიტყვით, ხუთი-ათი წუთით ფიქრობდა დალგლიშებთან შეყოვნებას, მაგრამ ვაის გადაეყარა... კენი დალგლიშის ხელმოწერა შონ ფალონმა მხოლოდ მესამე დღეს მიიღო, არადა, ეს ჯერ ნაღდი პროფესიული კონტრაქტი არც იყო.

და კიდევ, ვიღაც ოხერი პროტესტანტი ლაწირაკის ხელმოწერას ოჯახური ზეიმი რომ ანაცვალა, ფალონს კინაღამ ოჯახის დანგრევად დაუჯდა.

...ოხერმა პროტესტანტმა პირველი ორი წელიწადი ფარმკლუბ „კამბერნოლდში“ გაატარა, რის მერეც პროფესიული კონტრაქტი გაუფორმეს და მორიგი ორი წელიწადი, სათადარიგოდ ამყოფეს. ერთხელაც, სეზონისწინა შეკრების დღეებში „სელტიკი“ „კილმარნოკს“ რომ გადაეყარა და 7:2 მოუგო, ექვსი გოლი დალგლიშმა გაიტანა.

— ახლა კი მომწიფდა — თქვა მაშინ ჯოკ სტინმა.

იმხანად „სელტიკი“ ისე „სელტიკობდა“, რომ ზედიზედ ცხრაჯერ მოიგო შოტლანდიის ჩემპიონის ტიტული, ხოლო დალგლიშმა ამ ცხრიდან ბოლო სამში შეიტანა წვლილი. მისთვის განსაკუთრებით ვარსკვლავური 1972-73 წლების სეზონი გამოდგა, 41 გოლი შეაგდო, მაგრამ აკი ვთქვით, უცნაური ბედისა და კარიერის ადამიანი არისო: იმ წელიწადს სტინი ავტოკატასტროფაში მოჰყვა და სანამ მკურნალობდა, „სელტიკი“ ჩემპიონი ვერ გახდა. სტინი შემდეგ სეზონში დაბრუნდა და „სელტიკი“ ისევ ჩემპიონი გახდა, მაგრამ დალგლიშს უკვე მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი წასვლა, ის გრძნობდა, რომ მის კარიერაში ერთი დიდი ეტაპი დასრულდა.

ასე დადგა 1977 წელი, როდესაც ინგლისელი ვარსკვლავი კევინ კიგანი „ჰამბურგში“ გადავიდა, ხოლო „ლივერპულს“ მისი შემცვლველი დასჭირდა და თვალი დალგლიშს დაადგა — ინგლისელებმა შოტლანდიელ კათოლიკეთა გუნდს პროტესტანტ ფეხბურთელში 440 ათასი ფუნტი გადაუხადეს. მაშინ „ლივერპულის“ მწვრთნელი ბობ პეისლი იყო, ხოლო ათი წლით ადრე, როდესაც ყმაწვილი დალგლიში უფასოდ ეძლეოდათ, დიადი და ლეგენდარული ბილ შენკლი, რომელსაც, როგორც გაირკვა, შეშლია.

რით დასრულდა კენი დალგლიშის პირველი სეზონი „ლივერპულში“? ჩემპიონთა თასის ფინალში, „ბრიუგეს“ კარში გატანილი გოლით. გარდა ამისა, სქოთი ლიდერის მონაგარი ოცდაათს გაუტოლდა და ყველამ, ვისაც მის ჭეშმარიტ ვარსკვლავობაში ეჭვი ეპარებოდა, ენა ჩაყლაპა.

პეისლის შემდეგ „ლივერპულის“ მწვრთნელი ჯო ფეგანი გახდა, მაგრამ ცოტა ხნით, „ეიზელის“ ტრაგედიამდე. ხოლო შემდეგ კლუბის ისტორიაში პირველად დაირღვა ტრადიცია და თანამდებობაზე წინა ხელმძღვანელის თანაშემწე კი არა, მოთამაშე დაინიშნა — კენი დალგლიში. ზემოთ მოგახსენეთ, რომ დალგლიშისეული „ლივერპული“ ევროპის ყურადღების მიღმა დარჩა. არადა, ძალიან რამე იყო.

ესეც ასე. კიდევ რის თქმა შეიძლება კენი დალგლიშის შესახებ? ალბათ იმის, რომ მის კარიერაში „ეიზელის“ გარდა კიდევ ორი ტრაგედია იყო — 1971 წელს გლაზგოური დერბის დროს ჭყლეტამ 66 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და 1989 წელს, „ჰილსბოროზე“ კვლავ ჭყლეტისგან 96 ქომაგი დაიღუპა.

თუმცა, მოდით, წერილს ტრაგიკულ ამბავზე საუბრით ნუ დავასრულებთ და ასეთი ფრაზა ვთქვათ:

„ვგრძნობ, რომ მალე თავი ნაწილებად დამისკდება“. ეს კენი დალგლიშმა პრესკონფერენციაზე თქვა, 1991 წლის 21 თებერვალი იდგა. დალგლიში წავიდა და... მერე თქვა, თურმე რამდენიმეთვიანი დასვენება სჭირდებოდაო, თუმცა „ლივერპულის“ მწვრთნელად უკვე მისი მეგობარი გრემ სუნესი მუშაობდა.

პაპუნა კედია

სარბიელი: კროკო

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
ინგლისი. II დივიზიონი. გადადებული მატჩები								
30 მარტი								
23.45	054	ბლეკპული-კოლჩესტერი	2,0	3,2	3,4	1,23	1,25	1,64
23.45	055	პორტ ვეილი-სუინდონი	2,1	3,2	3,2	1,26	1,26	1,6
ინგლისი. III დივიზიონი. გადადებული მატჩები								
30 მარტი								
23.45	071	მაკლსფილდი-ლინკოლნი	2,8	3,2	2,3	1,49	1,26	1,33
23.45	072	მენსფილდი-ტორკი	2,25	3,2	2,7	1,32	1,22	1,46
23.45	073	როჩდეილი-დონკასტერი	2,9	3,2	2,25	1,52	1,26	1,32
31 მარტი								
23.45	074	ბოსტონი-ჰალი	3,0	3,2	2,2	1,54	1,26	1,3
ინგლისი. კონფერენსი. გადადებული მატჩები								
30 მარტი								
23.45	090	ბარნეტი-შრიუსბერი	2,15	3,2	3,0	1,28	1,25	1,54
23.45	091	ჰალიფაქსი-ბარტონი	2,15	3,2	3,0	1,28	1,25	1,54
23.45	092	ლეი-გრეივსენდი	2,6	3,2	2,2	1,43	1,19	1,3
23.45	093	ტელფორდი-ჩესტერი	3,3	3,4	1,8	1,67	1,16	1,17
ინგლისი. კონფერენსი. XXXVIII ტური								
30 მარტი								
23.45	095	ალდერშოტი-სტივენეიჯი	1,7	3,4	4,0	1,13	1,19	1,83
შოტლანდია. II დივიზიონი. გადადებული მატჩი								
30 მარტი								
23.30	122	სტენჰაუზმური-არბროთი	2,6	3,4	2,0	1,47	1,13	1,25
23.30	123	მორტონი-ალოა	1,7	3,5	4,0	1,14	1,19	1,86
23.45	124	ბერიკი-დამბარტონი	2,3	3,4	2,5	1,37	1,19	1,44
31 მარტი								
23.30	125	ერდრი-ისტ ფაიფი	1,55	3,6	4,2	1,08	1,13	1,93
გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). გადადებული მატჩები								
30 მარტი								
20.30	601	პადერბორნი-კიოლნი(მ)	1,5	3,6	5,3	1,05	1,16	2,14
21.30	602	შალკე(მ)-ლაიპციგი	1,85	3,3	3,4	1,18	1,19	1,67
22.30	603	დორტმუნდი(მ)-მიუნსტერი	1,65	3,4	3,6	1,11	1,13	1,74
22.30	604	ესენი-ნოიმიუნსტერი	1,15	4,2	8,0	1	1	2,75
22.30	605	ვუპერტალი-ვატენშაიდი	1,5	3,6	5,3	1,05	1,16	2,14
გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XXIV ტური								
30 მარტი								
22.00	163	მაინცი(მ)-ჰოფენჰაიმი	2,25	3,3	2,6	1,33	1,2	1,45
იტალია. სერია C1/B. XXIV ტური								
31 მარტი								
19.00	200	კატანძარო-პატერნო	1,3	4,2	9,0	1	1,13	2,86
19.00	201	მარტინა-აკილა	1,4	3,2	7,5	1	1,17	2,24

			1	X	2	1-X	1-2	X-2
შვეიცარია. ჩელენჯლიგა. გადადებული მატჩები								
30 მარტი								
22.30	344	შო დე ფონი-ბადენი	2,4	3,2	2,5	1,37	1,22	1,4
22.30	345	ბულე-კონკორდია	2,1	3,2	3,1	1,26	1,25	1,57
31 მარტი								
22.30	346	შაფჰაუზენი-დელემონი	1,5	3,5	5,3	1,04	1,16	2,1
დანია. I დივიზიონი. XVI ტური.								
31 მარტი								
20.45	366	ფრედერისია-სილკებორგი	3,3	3,5	1,85	1,69	1,18	1,21
თურქეთი. სუპერლიგა. XXV ტური								
31 მარტი								
20.00	406	ადანა-გენჩლერბირლიგი	3,4	3,4	1,6	1,7	1,08	1.08
მჩ შესარჩევი მატჩები								
30 მარტი								
01.00	567	ბოლივია-ჩილე	1,95	3,2	3,5	1,21	1,25	1,67
04.30	568	არგენტინა-ეკვადორი	1,25	4,8	10,0	1	1,11	3,24
31 მარტი								
03.30	569	ურუგვაი-ვენესუელა	1,3	4,4	9,0	1	1,13	2,95
05.40	570	პარაგვაი-ბრაზილია	3,4	3,2	2,0	1,64	1,25	1,23
07.40	571	პერუ-კოლუმბია	1,85	3,2	3,6	1,17	1,22	1,69
ამხანაგური მატჩები								
30 მარტი								
19.00	573	ისრაელი-ლიტვა	1,4	3,8	7,0	1,02	1,16	2,46
24.00	574	ავსტრალია-ს.აფრიკა	1,85	3,2	3,6	1,17	1,22	1,69
31 მარტი								
18.00	575	მოლდოვა-აზერბაიჯანი	1,5	3,5	5,6	1,04	1,18	2,15
19.00	577	მალტა-ფინეთი	8,0	4,0	1,35	2,66	1,15	1
20.00	578	ესტონეთი-ჩრდ.ირლანდია	1,75	3,2	4,2	1,13	1,23	1,81
20.00	579	სლოვენია-ლატვია	1,75	3,2	4,2	1,13	1,23	1,81
20.00	580	ბულგარეთი-რუსეთი	2,2	3,1	3,0	1,28	1,26	1,52
21.00	581	სერბია-ნორვეგია	1,9	3,1	3,6	1,17	1,24	1,66
21.00	582	მაკედონია-უკრაინა	3,1	3,1	2,15	1,55	1,26	1,26
22.00	585	ხორვატია-თურქეთი	2,05	3,1	3,3	1,23	1,26	1,59
23.00	587	ლუქსემბურგი-ბოსნია	9,0	5,0	1,22	3,21	1,07	1
23.15	588	საბერძნეთი-შვეიცარია	1,75	3,2	4,2	1,13	1,23	1,81
23.15	589	უნგრეთი-უელსი	2,25	3,1	2,9	1,3	1,26	1,49
23.30	590	გერმანია-ბელგია	1,55	3,4	5,6	1,06	1,21	2 11
23.30	591	სლოვაკეთი-ავსტრია	2,05	3,1	3,3	1,23	1,26	1,59
23.30	592	ირლანდია-ჩეხეთი	2,6	3,0	2,45	1,39	1,26	1,34
23.35	593	პოლონეთი-აშშ	2,0	3,1	3,4	1,21	1,25	1,62

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23.45	594	პოლანდია-საფრანგეთი	2,6	3,1	2,4	1,41	1,24	1,35
23.45	595	შვედეთი-ინგლისი	2,5	3,0	2,5	1,36	1,25	1,36
24.00	596	შოტლანდია-რუმინეთი	2,8	3,1	2,3	1,47	1,26	1,32
00.45	597	ესპანეთი-დანია	1,55	3,4	5,6	1,06	1,21	2,11
01.15	598	პორტუგალია-იტალია	2,35	2,9	2,9	1,29	1,29	1,45
		ჰოკეი. სლოვაკეთი						
		30 მარტი						
20.00	1021	ტრენჩინი-ზვოლენი	1,45	4,6	4,4	1,1	1,09	2,24
		ჰოკეი. გერმანია						
		30 მარტი						
22.30	1031	ჰამბურგი-ფრანკფურტი	1,85	4,2	2,8	1,28	1,11	1,68
22.30	1032	აისბარენი-ინგოლშტადი	1,4	4,8	4,8	1,08	1,08	2,4
		ჰოკეი. შვეიცარია						
		30 მარტი						
23.00	1041	ლუგანო-ციურიხი	1,55	4,6	3,8	1,15	1,1	2,08

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ჰოკეი. შვედეთი						
		30 მარტი						
22.15	1051	ფერიესტადი-ჰვ 71	1,85	4,2	2,8	1,28	1,11	1,68
		ჰოკეი. NHL						
		30 მარტი						
06.00	1071	კაროლინა-ბოსტონი	2,6	3,6	1,9	1,5	1,09	1,24
06.00	1072	ვაშინგტონი-პიტსბურგი	2,0	3,6	2,4	1,28	1,09	1,44
06.30	1073	ნიუ ჯერსი-რეინჯერსი	1,35	3,8	4,0	1	1	1,94
07.00	1074	ნეშვილი-ჩიკაგო	1,35	3,8	4,0	1	1	1,94
07.00	1075	სტ.ლუისი-ედმონტონი	2,0	3,6	2,8	1,28	1,16	1,57
		კალათბურთი. NBA						
		30 მარტი						
05.00	1246	ფილადელფია-გოლდენ სტეიტი	1,3	10,0	2,6	1,15	1	2,06
06.00	1247	მილუოკი-ინდიანა	1,8	10,0	1,6	1,52	1	1,37
08.30	1250	ლეიკერსი-ნიუ ორლეანი	1,1	10,0	4,4	1	1	3,05

ფორმულა 1. ბაჰრეინი. 4 აპრილი

8001 გამარჯვებული	სამეული	ექვსეული	8002 უსწრ. წრე
მ.შუმახერი -------------- 1,8	8101 ---------- 1,15	8201 --------------- 1,1	2,0
მონტოია ---------------- 4,0	8102 ------------ 1,6	8202 --------------- 1,2	3,2
რ.შუმახერი ------------ 7,0	8103 ------------ 2,1	8203 ------------- 1,25	5,0
რაიკონენი -------------- 8,0	8104 ------------ 2,3	8204 ------------- 1,28	7,0
ბარიკელო -------------- 5,0	8105 ------------ 1,9	8205 --------------- 1,2	3,0
ალონსო ---------------- 8,0	8106 ------------ 2,3	8206 --------------- 1,3	8,0
კულტჰარდი --------- 20,0	8107 ------------ 3,5	8207 --------------- 1,5	10,0
ტრული -------------- 25,0	8108 ------------ 4,4	8208 --------------- 1,5	15,0
ბატონი -------------- 20,0	8109 ------------ 5,0	8209 --------------- 1,5	15,0
სატო ---------------- 75,0	8110 ---------- 15,0	8210 --------------- 2,5	50,0
პანისი -------------- 100,0	8111 ---------- 20,0	8211 --------------- 3,0	75,0
უებერი -------------- 75,0	8112 ---------- 15,0	8212 --------------- 2,0	50,0
და მატა ------------ 150,0	8113 ---------- 30,0	8213 --------------- 5,0	75,0
ფიზიკელა ---------- 100,0	8114 ---------- 25,0	8214 --------------- 4,0	75,0
ჰაიდფელდი -------- 150,0	8115 ---------- 30,0	8215 --------------- 5,0	75,0
მასა ----------------- 100,0	8116 ---------- 30,0	8216 --------------- 5,0	75,0
კლიენი -------------- 200,0	8117 ---------- 50,0	8217 --------------- 6,0	100,0
პანტანო ------------ 250,0	8118 ---------- 50,0	8218 --------------- 6,0	100,0
ბრუნი --------------- 300,0	8119 ---------- 75,0	8219 ------------- 10,0	100,0
ბაუმგარტნერი ------ 300,0	8120 ---------- 75,0	8220 ------------- 10,0	100,0

გამარჯვებული გუნდი
ფერარი ------------------------ 1,3
უილიამსი --------------------- 2,5
მაკლარენი -------------------- 5,6
რენო ---------------------------- 6,0
ბარ ----------------------------- 15,0
ტოიოტა ---------------------- 60,0
იაგუარი ---------------------- 54,0
ზაუბერი ---------------------- 50,0
ჯორდანი --------------------- 93,0
მინარდი -------------------- 150,0

ჩემპიონები და თასის აღება

9004
ესპანეთი (03.04)

რეალი	1,35
ვალენსია	2,5
ბარსელონა	6,5
დეპორტივო	40,0

9005
საფრანგეთი (02.04)

მონაკო	1,7
ლიონი	1,7
პსჟ	8,0

9008
ავსტრია (03.04)

აუსტრია	1,45
გრაცერი	2,6
რაპიდი	6,0

9009
დანია (03.04)

ბრიონდბიუ	2,3
კოპენჰაგენი	2,3
ესბიერგი	2,5

9010
საბერძნეთი (03.04)

პანათინაიკოსი	1,7
ოლიმპიაკოსი	1,8

9011
უკრაინა (03.04)

შახტარი	1,45
დინამო	2,1

9021
ჩემპიონთა თასი (06.04)
რომელი ქვეყნის გუნდი აიღებს თასს

ინგლისი	2,15
იტალია	2,5
ესპანეთი	2,7
პორტუგალია	7,0
საფრანგეთი	17,0

9021
ჩემპიონთა თასი (23.03)

მილანი	2,5
რეალი	3,0
არსენალი	3,0
პორტუ	7,0
ჩელსი	8,0
ლიონი	30,0
დეპორტივო	40,0
მონაკო	40,0

9024
უეფას თასი (25.02)

ვალენსია	3,3
ინტერი	4,0
ნიუკასლი	4,0
სელტიკი	5,0
მარსელი	8,0
პსვ	8,0
ბორდო	12,0
ვილიარეალი	12,0

9031
NHL (05.04)

კოლორადო	4,0
დეტროიტი	4,0
ფილადელფია	5,0
ტორონტო	6,0
ნიუ ჯერსი	7,0
ოტავა	7,0
ტამპა ბეი	7,0
ვანკუვერი	10,0
დალასი	10,0
სან ხოსე	10,0
ბოსტონი	10,0
კალგარი	25,0
მონრეალი	25,0
სტ.ლუისი	30,0
აილენდერსი	40,0
ნეშვილი	40,0
ედმონტონი	40,0
ლოს ანჯელესი	100,0

9032
NBA (15.04)

ლეიკერსი	2,0
საკრამენტო	3,2
სან ანტონიო	5,0
მინესოტა	6,0
ინდიანა	7,0
დეტროიტი	10,0
დალასი	12,0
ნიუ ჯერსი	12,0
ნიუ ორლეანი	30,0
მემფისი	40,0
ჰიუსტონი	50,0
ნიუ იორკი	75,0
დენვერი	75,0
მილუოკი	75,0
ფილადელფია	100,0
ბოსტონი	100,0
ტორონტო	100,0
პორტლენდი	100,0
მაიამი	100,0
კლივლენდი	100,0
იუტა	100,0



ბათუ კვლიშვილი



ბადრი კეთილაძის ფოტოები

გუგა გეგენავა

ბადრი კეთილაძის ფოტო

მერაბ ანთაძე

ბოიკოტი შედგა

ყრილობა დაიწყო და ორ კვირაში დამთავრდება

გუშინ ქართული სარაგბო თემის ერთი ნაწილი სპორტის დეპარტამენტის საპრესკონფერენციო დარბაზში შეიკრიბა და რიგგარეშე ყრილობა გამართა. რაგბის კავშირის გამგეობის მიერ მოწვეული საერთო კრების უმთავრესი მიზანი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება იყო, მაგრამ ქვორუმი არ შედგა. არჩევნების ჩასატარებლად 29 ხმის უფლების მქონეთაგან ორი მესამედი უნდა გამოცხადებულიყო, გუშინ კი დარბაზში მხოლოდ 15 ხმა მოგროვდებოდა.

საათნახევრიან ყრილობას გამგეობის თავმჯდომარე გუგა გეგენავა წარუძღვა. კლუბების, ვეტერანებისა და რაგბის სამყაროში მოტრიალე სხვა პირთა სასაუბრო თემა ქართული რაგბის გაჭირვება და, რაღა თქმა უნდა, მორიგი რიგგარეშე ყრილობის ორგანიზება იყო. შეკრებილებმა ბიძინა გეგიძის მომხრეებს მოუწოდეს, დაფიქრდნენ და კარგად აწონ-დაწონონ ყველაფერი, მიუხედავად იმისა, რომ მორიგი არჩევნები მათ გარეშეც ჩატარდება — რაგბის კავშირის წესდების თანახმად, უკვე 15 დელეგატის ყოფნაც საკმარისი იქნება. ბოლოს მომდევნო კრების ჩატარების თარიღი, 15 აპრილი ერთხმად დამტკიცდა

გუგა გეგენავა, გამგეობის თავმჯდომარე:

— იმ კლუბებმა, რომლებიც ყრილობაზე არ გამოცხადდნენ, სარაგბო საზოგადოებას ბოიკოტი გამოუცხადეს. ეს მათი მხრიდან აშკარად დაუფიქრებელი და არაკორექტული ნაბიჯია. გეგიძე და მისი მომხრეები რაგბის სამყაროში განხეთქილების ორგანიზატორებად ჩვენ მიგვიჩნევენ და ვერც კი ხვდებიან, რომ ამ გზას უნებურად თავად ადგანან.

ირაკლი კიზირია: ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე:

— დღეს ვეტერანთა კავშირში განსხვავებული ხედვის მქონე ორ კაცს ვერ მოძებნით. უკვე ნათლად ჩანს, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. რაგბის კავშირში ერთპიროვნული მმართველობის დიქტატორული სისტემაა გამეფებული. ვერავინ იტყვის, რომ ნაკრების წარმატებული თამაში პატარა საქმეა, მაგრამ მარტო ეს ნამდვილად არ არის საკმარისი. რაგბის განვითარების საფუძვლებს მიხედვა სჭირდება.

დავით კილასონია, „უნივერსიტეტის“ მწვრთნელი:

— რაგბის კავშირის მთავარი საფიქრალი ქვეყანაში რაგბის განვითარება უნდა იყოს. არაერთგზის მიმიმართავს ხელმძღვანელობისთვის, ჩავსულიყავით რეგიონებში და იქაური სკოლებისთვის ყურადღება მიგვექცია, მაგრამ, არაფერი გამოვიდა. წინასწარ არავინ იცის, ტალანტი სად დაიბადება...

...ვრცელდება ხმები, რომ კავშირის თავკაცები გადადებული არჩევნების მოსაგებად ხმის უფლების მქონე დელეგატთა რაოდენობის გაზრდას აპირებენ. საუბარია ერთი რეგიონისთვის ორი ხმის მიცემაზე. ეს არაფრით არ უნდა დავუშვათ.

ბათუ კვლიშვილი, ლელოს პრეზიდენტი:

— გამკვირვებია იმ კლუბთა წარმომადგენლების, დღევანდელ ყრილობაზე რომ არ გამოცხადდნენ. ჩვენ მეგობრები ვართ და ეს ურთიერთობა მეტ პატივს იმსახურებს. მოსულიყვნენ და დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია. საინტერესოა, რაზე ფიქრობენ. ადრე თუ გვიან ხომ უმათოდაც მივიღებთ გადაწყვეტილებას.

ბიძინა გეგიძეც ჩემი მეგობარია, მაგრამ მისი სარაგბო რესურსები უკვე იწურება. იგი პრიორიტეტად ეროვნულ ნაკრებს ასახელებს. ბავშვთა და მოზარდთა რაგბიზე კი არც ფიქრობს. არ ფიქრობს იმ ნიჭიერ ხალხზე, ამ დარბაზში რომ ზის. საფრანგეთიდან ჩამოტანილი ორფურცლიანი „შპარგალკით“ ქართული რაგბი ვერ განვითარდება. არც ის შეიძლება, ნაკრების წარმატება ერთმა კაცმა დაიბრალოს. ამაში ლომის წილი დარბაზში მჯდომ თმაგათეთრებულ სპეციალისტებს მიუძღვით. დღეს რაგბის კავშირი 6-7 კაცისაა და მათ იქით აღარაფერი არსებობს. მოვუწოდებ ბიძინა გეგიძეს, გადადგეს. ეს დიდი ღირსებაა. თუ ამ გადაწყვეტილებას მიიღებს, პატივისცემაც მეტი ექნება. ქართული რაგბისთვის კარგის გასაკეთებლად მაინცდამაინც იქ ჯდომა არაა აუცილებელი. სარაგბო სამყაროში ღირსეული ისედაც არ დაიკარგება.

გოჩა სვანიძე, ვეტერანი მორაგბე:

— ფინანსურ ანგარიშთან დაკავშირებით იანვარში გეგიძემ კომისიის შექმნა მოითხოვა. ცალკეული კლუბები ამას ვერ გააკეთებენ, ასე რომ, კომისია დღეს ვერ შეიქმნება. დარბაზში არმყოფ კლუბებს 15 აპრილის ყრილობაზე გამოცხადებას კატეგორიულად ვერავინ მოსთხოვს. გამოცხადდებიან თუ არა, მათი საქმეა. მიუხედავად იმისა, რომ შემდეგ ყრილობაზე ეს შემადგენლობაც საკმარისი იქნება გადაწყვეტილების მისაღებად. მაინც ვთხოვთ, მოვიდნენ და თავიანთი აზრი დაიფიქსირონ.

თემურ ბენდიაშვილი, ლოკომოტივის მწვრთნელი:

— ჯერ კიდევ ორი თვის წინ მოვთხოვეთ ბიძინა გეგიძეს საფინანსო ანგარიში. კიდევ ერთხელ მივმართოთ, ოფიციალურად გამოიტანოს საჯაროზე და ერთხელ და სამუდამოდ ფარდა ახადოს.

ლევან იოსელიანი, ვეტერანი მორაგბე:

— დღეს ქვორუმი იმიტომ არ შედგა, რომ ოპონენტები დარწმუნებულნი იყვნენ, წააგებდნენ. ახლა შეიძლება იმით დაიწყონ სპეკულირება, აქაოდა, სახელმწიფო დაფინანსებას გვიზრდისო. ეს ავტომატურად მოხდება და ვერავის დამსახურებად ვერ მივიჩნევთ. სახელმწიფო მთლიანად სპორტს უზრდის დაფინანსებას და, რასაკვირველია, მასში რაგბიც მოხვდება. არაერთგზის მითქვამს და კიდევ ერთხელ, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ორი ფრანგული და ერთი ქართული კომპანია მზადაა, ჩვენი ნაკრები და შიდა ჩემპიონატი დააფინანსოს, ოღონდ მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი ანთაძე გახდება. მათ ვინაობას შეგნებულად არ ვახმაურებთ. როგორც კი მიზანს მივაღწევთ, ხელმოწერილ საბუთებს მაშინვე გაჩვენებთ.

მერაბ ანთაძე, პრეზიდენტობის კანდიდატი:

— მშვენივრად მესმის ის გულისტკივილი, რომელიც აქ იგრძნობა. მას ჩემიც ემატება. ჩვენი ხედვა ერთნაირია, კავშირის თავკაცებთან კი, სამწუხაროდ, საერთო ენა ვერაფრით გამოვნახეთ. ის კლუბები, რომლებიც დღეს არ გამოცხადდნენ, იმდენად ჩემი მოწინააღმდეგეები არ არიან, რამდენადაც კავშირის მიმართ ლოიალურნი. სარაგბო თემი კავშირის თავკაცების მიმართ უარყოფითადაა განწყობილი. ესაა მთავარი, თორემ ყრილობის გადადება არაფერია. ბოლოს და ბოლოს, სასურველ შედეგს მაინც მიაღწევს.

აქ მოსვლა არც ერთ ნაკრებს ხელს არ უშლის და არც საქმე ფუჭდება. ეს უბრალოდ შეთხზული მიზეზია და მსგავსი მიდგომით სერიოზული პრობლემები იქმნება. საკითხი, რაც შეიძლება მალე უნდა მოგვარდეს, თან აუცილებლად კენჭისყრით და არა დაპირისპირებით.

ოთარ მაღლაკელიძე

რაგბის კავშირი ოპოზიციას არ უკავშირდება

ჩვენ ჩვენი უკვე ვთქვით

გუშინ ქართული რაგბისთვის საკმაოდ დაძაბული დღე იყო, რამდენიმე კლუბის ინიციატივით რაგბის კავშირის პრეზიდენტის არჩევნები განმეორებით უნდა გამართულიყო, თუმც ყრილობა კვლავ არ შედგა. რაგბის კავშირის წარმომადგენლები ყრილობას არ ესწრებოდნენ. თუ რატომ, ამაზე „კავშირის გენერალური მდივანი“ ნუგზარ მალაღურაძე საუბრობს.

— კავშირმა თავისი პოზიცია უკვე დააფიქსირა, ჩემს ინტერვიუშიც ნათლად ჩანდა ჩვენი აზრი. გაკეთდა მიმართვაც, ჩვენს ოპონენტებთან ადრევე მოვილაპარაკეთ. ვინაიდან საკმაოდ დაძაბული საერთაშორისო მატჩების გარიგი გვიწევდა და ყველა ასაკის ნაკრებების თამაშები მთელ გაზაფხულს მოიცავდა, ყრილობა მაისში ურდა ჩატარებულიყო. ამის შემდეგ რამდენიმე კლუბმა მაინც მიმართა გამგეობას თხოვნით, რათა ყრილობა 29 მარტს ჩაეტარებინათ. გამგეობამაც თანხმობა განუცხადა. გულისტკივილით მინდა აღვნიშნო, რომ გამგეობა რვა წელია არსებობს, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში არ მიულია მონაწილეობა რაგბის კავშირის მართვაში და რატომღაც ახლა გააქტიურდა.

— თქვენ აღნიშნეთ, რომ კლუბების უმრავლესობა თანახმა იყო, ყრილობა მაისში ჩატარებულიყო. რომელ კლუბს გულისხმობთ?

— ბათუმის, ქუთაისის, უნივერსიტეტის, აკადემიის გუნდებზე და აგრეთვე „დინამოზე“.

— ახლა რა ხდება, რატომ გადაიდო არჩევნები?

— წესდების თანახმად, არ შედგა ქვორუმი და ყრილობა არ ჩაითვალა უფლებამოსილად, რათა დაეწყო მუშაობა.

— როდის გაიმართება არჩევნები?

— ოქმი არ გვაქვს, ჯერ არ ვიცით, რა გადაწყვეტილება მიიღო გამგეობამ.

— რომ გაიგებთ, პრესკონფერენციას მოაწყობთ?

— რაგბის კავშირმა უკვე დააფიქსირა თავისი პოზიცია.

ნინო ლეჟავა



საქართველოს მორაგბეთა სრულიად განახლებულმა ნაკრებმა ერთა თასის წლევანდელი სეზონი ზიგზაგებით გაირბინა, მოიგო ძლიერთან და ვერ მოიგო სუსტთან. თუმცა ვინ, ვინ და რუმინეთი ნაღდად არაა სუსტი ჩვენს კომპანიაში. რატომ წავაგეთ რუმინეთში? ნაკრების მწვრთნელებიც აღიარებენ რომ ეს მოსაგები თამაში იყო. ერთა თასის ბოლო სანაკრებო მატჩზე და პრინციპულ მეტოქესთან დასანან მარცხზე ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი პაატა ნარიმანაშვილი გვესაუბრება

ამ რუმინეთს აქ მოვუგებდით

სამხრეთაფრიკელებს ყველას დავახვედრებთ

— ანგარიშში წავაგეთ და არა ბრძოლაში. მთავარი ის არის, ამ კონკრეტული გუნდისთვის, რომელიც სულ ახლახან შეიკრიბა, ძალიან კარგი შედეგი იყო რუმინეთთან ასეთი თამაში. ახალგაზრდა, გამოუცდელმა მოთამაშეებმა კარგად გაართვეს საქმეს თავი. მთელი მატჩი ჩვენი უპირატესობით მიდინარეობდა, მაგრამ 10 წუთიღა რჩებოდა, როცა ნინო ანდღულაძე გაგვიგდეს და რუმინელებმა ეს უპირატესობა გამოიყენეს. ამითაა რუმინეთი ჩვენზე ძლიერი

— **რუსებმა როგორღა მოუგეს?**

— ფირი ვნახე. არ ვიცი, მიზეზი რა იყო, თუმცა რუსებმა აშკარად აჯობეს ფიზიკურად. მათ „მუხის ფოთლები" შესამჩნევად დაჯაბნეს, განსაკუთრებით შერკინებაში.

— **ჩვენთან რაღატომ წააგეს რუსებმა?**

— ჩვენთან იმიტომ წააგეს, რომ რუსები არიან. შინაგანი ფსიქოლოგიური ბარიერი აქვთ ქართველების მიმართ და, ვფიქრობ, კარგა ხანს ვერ გადალახავენ. ყოველთვის ჰგონიათ, რომ მოგვიგებენ, ფიქრობენ, რომ ეს თამაშიც შემთხვევით წააგეს. უკვე 9 წელია, ასე გრძელდება.

— **რუსები იმასაც ამტკიცებენ, მსაჯები სულ ქართველებს უდგებიანო...**

— ერთი თამაში იმსაჯა წლეულს ფრანგმა, დანარჩენებში კი სულ იტალიელები და გერმანელები იყვნენ. ყველა მატჩი რომ ფრანგმა განსაჯოს, თამაშის დონე უფრო აიწევს, რადგან იტალიელები და გერმანელები მათ აშკარად ჩამორჩებიან კლასით. არბიტრი, რომელმაც რუსეთთან იმსაჯა, ერთ-ერთი საუკეთესოა საფრანგეთში, მას მსოფლიოს თასზეც აქვს ნამსაჯი.

— **ეტყობა, რუსებს ფრანგებზე აქვთ პრეტენზია, რაკი კლოდ სორელი ფრანგი იყო...**

— არ ვიცი, ამას ალბათ, იქიდან გამომდინარე ამბობდნენ, რომ კლოდი ფრანგი იყო და ჩვენს მიმართ გარკვეული სიმპათია, შეიძლება, ჰქონოდათ მსაჯებს, თუმცა წლეულს ასე არ ყოფილა.

— **დავუბრუნდეთ რუმინეთს, ბუქარესტში მიკერძოებული მსაჯობა იყო?**

— ვერ ვიტყვი, რომ ეს მსაჯი დაბალი დონის იყო. პორტუგალიასთან შეხვედრას თუ შევადარებთ, რუმინეთში უკეთესი არბიტრი შეგვხვდა, თუმცა ბოლო 20 წუთის განმავლობაში მან მასპინძელს მიანიჭა უპირატესობა. ეს თამაში თბილისში რომ ყოფილიყო, ჩვენ მოვიგებდით. მსაჯებს აქვთ ასეთი დაუწერელი კანონი, სიმპათია ყოველთვის დამხვედრი გუნდისკენ იხრება.

— **ანდღულაძე რატომ გააგდეს?**

— მაგაზე ვერაფერს გეტყვი. გაურკვეველი ჯარიმის შემდეგ აჩვენა მსაჯმა ყვითელი ბარათი.

— **ფირი ნახეთ?**

— არა, გადაღებული გვაქვს და განხილვა გვექნება.

— **მაინც რა იყო ასეთი შედეგის მიზეზი?**

— ძალიან ბევრი ტრავმა მივიღეთ. მესამე ხაზი ფაქტობრივად დაგვემტვრა, რადგან რუმინელები საკმაოდ უხეშობდნენ. იძულებულები გავხდით, ჯაველიძე მესამე ხაზში შეგვეყვანა. გადამწყვეტ მომენტში კი მესამე ხაზის გარეშე დავრჩით. კაცნაკლულობამ განაპირობა ჩვენი წაგება.

— **რუმინელებს რაში ჰქონდათ უპირატესობა?**

— მათ კარგად გამოიყენეს ჩვენი შეცდომები. რუმინეთი იმ კლასის გუნდია, რომელსაც შეუძლია მატჩის განმავლობაში რამდენიმე ტაქტიკური მონახაზის წარმოდგენა. თამაში დაიწყეს ხელით, შემდეგ ფეხით, ბოლო 15-20 წუთის განმავლობაში კი მოლშიც ბრწყინვალედ ითამაშეს და ამით გაგვტეხეს კიდეც.

— **ისე, როგორი მასპინძლები გამოდგნენ რუმინელები?**

— ყველაფერი ნორმალურად იყო, თუმცა თვითმფრინავში ძალიან დავიღალეთ. ერთ-ერთმა დამხვედრმა გვითხრა, მარტო მე ვარ თქვენი მხარდამჭერი და გულშემატკივარი რუმინეთშიო. თამაშის შემდეგ მარტო მან აღიარა ქართველი მორაგბეების უპირატესობა.

— **მომავალ გეგმებზე რას გვეტყვით?**

— ზაფხულში ველოდებით სამხრეთ აფრიკის გუნდის ჩამოსვლას. და ტესტ-მატჩებს გავმართავთ თბილისში.

— **სამხრეთაფრიკელებმა რაიმე ულტიმატუმები ხომ არ წამოგიყენეს?**

— მათი მოთხოვნაა, პირველი ორი შეხვედრა შედარებით იოლი იყოს, ბოლო კი ეროვნულთან იქნება. ჩვენ იმდენი მოთამაშეები გვყავს გასასინჯი და გასინჯული, რომ ამ პირობას იოლად შევუსრულებთ.

ნინო ლეჟავა

ევროპის ქალთა ჩემპიონატი

დრეზდენი. 20 მარტი–4 აპრილი

არახამია მეტოქის ცხენზე გადაჯდა

VIII ტური

ნატალია ჟუკოვა (უკრაინა) — მაია ლომინეიშვილი (საქართველო) 1:0, ნანა ძაგნიძე (საქართველო) — ელენა სედინა (იტალია) — 0,5:0,5; ნატაშა ბოჟკოვიჩი (სერბია-ჩერნოგორია) — ქეთევან არახამია-გრანტი (საქართველო) 0:1; ნინო ხურციძე (საქართველო) — ევგენია ჩასოვნიკოვა (რუსეთი) 1:0.

მხოლოდ ქართველთა შედეგები

ჩემპიონატის დასრულებამდე ოთხი ტურით ადრე ქართველთა შორის ყველაზე კარგი შედეგი ჯერჯერობით ქეთევან არახამია-გრანტს აქვს. იგი ექვსი ქულით მეხუთე პოზიციაზეა და ქულით ჩამორჩება ერთპიროვნულ ლიდერ პენგს. წინა ტურში კი ქართველს რომ ეყოჩაღა, შესაძლოა ყველაფერი მის სასიკეთოდ ყოფილიყო, თუმც- არახამია-გრანტი თეთრი ფიგურებით 35 სვლა ებრძოლა გაჰოლანდიელებულ ჩინელს, მაგრამ ვერაფერი მოუხერხა და მსუყე ქულაც დაუთმო.

მომდევნო შეხვედრაში ქართველმა შედარებით გამოასწორა მდგომარეობა. VIII ტურში მას შედარებით იოლი მეტოქე ბოჟკოვიჩი ერგო, რომელსაც მესამე ტურში ლომინეიშვილმა ყაიმით დაასრულა შეხვედრა.

არახამია-გრანტმა დებიუტში მეტოქეს სიცილიური დაცვა შეაგება და ყურადღება მარცხენა ფლანგზე გადაიტანა. ბოჟკოვიჩმაც ფიგურები აქეთ გადაისროლა და გაცვლები დაიწყო. დაფა ფიგურებისგან თანდათან გაიწმინდა და მეტოქეებმა დარჩენილი ორ-ორი პაიკის გაყვანისთვის დაიწყეს მეცადინეობა. რამდენიმე სვლაში სერბი მიხვდა რომ ქართველის მძლეველი არ იყო და ყაიმისთვის ბრძოლას შეუდგა, თუმც ამასობაში მხედარი დაკარგა და 63-ე სვლაზე დროშა ჩამოუშვა.

ნელ-ნელა ელიტარებს უახლოვდება ნინო ხურციძე. ჩასონიკოვასთან პარტია ქართველმა ყოჩაღად დაიწყო, საკუთარი ოფიცერი პაიკთან ერთად თავიდანვე წინა ფრონტზე გაუშვა და დიდი თავსატეხი გაუჩინა მეტოქეს. მე-12 სვლაზე ნინომ მსუბუქ ფიგურებს ლაზიერი მიაშველა. რომელმაც დაფის ყველა კუთხე შემოირბინა და სულ რაღაც 15 სვლაში შავებს დამარცხება აღიარებინა.

ლაშა გეგეჭკორი

1. ზაოგან პენგი (ჰოლანდია) ---------------------------- 7 ქულა
2. ირინა სლავინა (რუსეთი) ---------------------------- 6,5
3. ელენა დანიელიანი (სომხეთი) ---------------------------- 6,5
4. ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი) ---------------------------- 6
5. ქეთევან არახამია-გრანტი (საქართველო) ---------------------------- 6

— — — — — — — — — —

10. ნანა ძაგნიძე (საქართველო) ---------------------------- 5,5
15. ნინო ხურციძე (საქართველო) ---------------------------- 5
20. მაია ლომინეიშვილი (საქართველო) ---------------------------- 5

ამბერის ტურნირი

მონტე-კარლო. 20 მარტი–1 აპრილი

დაფას გოლფის ბურთი დაეცა



მოჭადრაკეებმა გოლფი ითამაშეს და მერე ყველაფერი აურიეს

მეოთხე ტურის მომდევნო დღე ტურნირის ორგანიზატორებმა უქმად გამოაცხადეს და მოჭადრაკეთა უმრავლესობამ თავისუფალი დრო გოლფის თამაშში გალია. დასვენებულები და ძალმოკრებილი დიდოსტატები კი აქტიურად ჩაერთვნენ თამაშებში და წინა ტურებში დიდი მონდომებით დაწყობილი ცხრილები ერთიანად აურ-დაურიეს.

პირველ ტერებში ცუდად შესრულებული დავალება ინდოელმა ვიშვანათან ანანდმა თანდათან გამოასწორა და ბოლო ადგილებიდან წინ გადაინაცვლა, თუმც VII ტურში რუსი ალექსანდრე მოროზევიჩისგან ორმაგი გვემა მიიღო და მეექვსეზე ჩაიწია. გოლფმა კარგად იმოქმედა უნგრელ პეტერ ლეკოზე. მეხუთე ტურში ორჯერ დამარცხებული, მადიარი მომდევნო სამში მადაზე მოვიდა, 4,5 ქულა მოაგროვა და პირველ ადგილს კინკილა ქულაღა აშორებს. ცენტრალური შეხვედრა უნგრელს VIII ტურში ჰქონდა. იგი ანანდს დაუპირისპირდა, თუმც ბევრი არ უბრძოლია, ორივე შეხვედრა სწრაფი ყაიმით დაუსრულა.

კლასიკური ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონმა რუსმა ვლადიმერ კრამნიკმა ჰოლანდიელი ლუკ ვან ველის ორმაგი ძლევით ერთპიროვნული ლიდერობა დაიბრუნა. აღსანიშნავია, რომ კრამნიკის პირველობაში დიდი წვრილი მის თანამემამულეებს — მოროზევიჩსა და ევგენი ბარეევს მიუძღვით, რომელნიც ლიდერის მთავარ მეტოქეებს სასტიკად უსწორდებიან. მერვე ტურის შემდეგ თვალხუჭუნა ცხრილს მოროზევიჩი უდგას სათავეში, სწრაფს კი ანანდი.

ევროპის „აზარტის დედაქალაქში" მყოფი ბუქმეიკერებისთვის ტურნირზე შედეგების ასეთი ცვლილება, რა თქმა უნდა უყურადღებოდ არ დარჩენილა. მათ საკმაოდ ეიმედებათ კრამნიკის და კოეფიციენტი 1,4-მდე შეუმცირეს. ვლადიმერს ერთი საფეხურით დაბლა მთავარი მეტოქე ლეკო ამოუხტა 3,8 ქულით. რაც შეეხება ერთ დროს ფავორიტად შერაცხულ ანანდს, იგი 20 „კუშით" მეექვსეზე ჩამოჯდა.

ლაშა გეგეჭკორი

ხულიგნობა ცაში

რა უფლებით გააფრინეთ, სერ!

ბრიტანელმა აერონაოსანმა დევიდ ჰემპლმან-ადამსმა ღია გონდოლიანი საჰაერო ბურთით სიმაღლეში ფრენის მსოფლიოს რეკორდი დაამყარა. იგი კოლორადოს შტატის ერთი ფერმიდან 12,6 კილომეტრ სიმაღლეზე აფრინდა და თითქმის ერთი კილომეტრით გააუმჯობესა ძველი რეკორდი, რომელიც ამგვარი საფრენი აპარატებისთვის იყო განკუთვნილი. ჰემპლმან-ადამსმა ფრენისას, რომელიც 3,5 საათს გაგრძელდა, ჟანგბადის სასუნთქი ნიღაბი გამოიყენა.

ამ ამბით ძალზე დაინტერესდა ამერიკის შეერთებული შტატების ფედერაციული საავიაციო სამმართველო, რომელმაც უნდა გამოიძიოს, ჰქონდა თუ არა ამ ბრიტანელს ამერიკული საფრენოსნო ლიცენზია, რომელიც ამერიკის ცაში ფრენას ითვალისწინებს. ამასთან, სამმართველომ უნდა გამოიძიოს ისიც, ხომ არ გადაკვეთა ბრიტანელის საჰაერო ბურთმა აკრძალული ზონა.. თუ ამ უწყების ეჭვები დადასტურდა, მაშინ ციურ ხულიგანს გვარიან ჯარიმას დააკისრებენ.

ამასობაში ეს ბრიტანელი მომავლისკენ იმზირება. მას განუზრახავს საჰაერო ბურთით ანტარქტიდაზე და შესაძლოა, დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ევერესტის თავზე გადაფრენა.

ავთანდილ ჭყიშელი

NBA რეგულარული ჩემპიონატი

28 მარტი

ორლანდო 88:118 დალასი

ორლანდო: ლუ (19), სტივენსონი (18), ბოგანსი (9), გუდენი (20 ქულა, 10 მოხსნა), ჰოვარდი (16 ქულა, 10 მოხსნა); ფაჩულია (8 წუთი, 4 ქულა, 4 მოხსნა), იონსენი (4), რუქსი (4), გეინისი (2), დეკლერკი (2)

დალასი: ნეში (12 ქულა, 11 პასი), დანიელსი (20), ჰოვარდი (19 ქულა, 12 მოხსნა), უოლკერი (10), ნოვიცკი (25); ჯემისონი (21), ნახერა (5), ბესტი (2), ფორტსონი (2), ბრედლი (2), უილიამსი

ლეიკერსი 91:84 იუტა

ლეიკერსი: ბრაიანტი (34), მელოუნი (19 ქულა, 13 პასი), პეიტონი (16)

იუტა: ბელი (26)

მილუოკი 107:111 ჰიუსტონი

ძირითადი დრო 92:92

მილუოკი: რედი (36 ქულა, 14 მოხსნა), სმიტი (25), მეისონი (19)

ჰიუსტონი: მინგი (27 ქულა, 13 მოხსნა, 5 დაფარება), ფრენსისი (23 ქულა, 10 მოხსნა, 8 პასი)

ტორონტო 88:94 მემფისი

ტორონტო: როუზი (18), ბოში (17), კარტერი (16)

მემფისი: გასოლი (23), სვიფტი (18)

ინდიანა 87:80 მაიამი

ინდიანა: ონილი (23 ქულა, 14 მოხსნა), არტესტი (18 ქულა, 12 მოხსნა, 6 ჩაჭრა)

მაიამი: ჯონსი (14), ვეიდი (14), ჯ. ბატლერი (14)

ბოსტონი 89:65 ფილადელფია

ბოსტონი: ბლუნტი (13)

ფილადელფია: ტომასი (18)

საკრამენტო 100:92 ვაშინგტონი

საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (29 ქულა, 11 მოხსნა)

ვაშინგტონი: არენასი (17)

გოლდენ სტეიტი 105:77 კლიპერსი

გოლდენ სტეიტი: რიჩარდსონი (20)

კლიპერსი: მეჯიტი (19)

აჩუქეთ სლოუნს თავისი

ეს კაცი კარგად ათამაშებს



თითქოს „იუტასთან“ ჭიდაობა არ ეყოფოდა „დენვერს“, ახლა „პორტლენდიც“ ჩაერია დასავლეთის მერვე საპლეიოფო ბილეთისთვის დავაში. თანაც „დენვერი“ ძალებისგან დაწრეტილია, მისი კონკურენტები კი მთლად ახლა არ იწყებენ ბრძოლას, მაგრამ არც ასე გამოფიტულად გრძნობენ თავს და რაკი ჩარხი მათკენაც შებრუნდა გაცილებით ხალისიანი თვალებით უყურებენ წუთისოფელს, ცხოვრების პრივილეგიებისთვის ბრძოლაც ტანჯვად არ ეჩვენებათ.

რა თქმა უნდა ნბა მხოლოდ წამახალისებელი და ხშირად მანუგეშებელი ტიტულებით არ ფასობს. ბევრი, მაგალითად სეზონის ყველაზე გაუმჯობესებული მოთამაშის ან სხვა ამგვარ პრიზებს სისულელედ მიიჩნევს. „იუტა ჯაზის“ თავკაცი ჯერი სლოუნიც 20 წელი ყოველდღიურად იმიტომ არ იშლის ნერვებს, რომ სეზონის მწვრთნელის სახელი „გამოიმუშაოს“. მაგრამ თუკი ამ პრიზებს მართლაც მანუგეშებელი დატვირთვა აქვს, სლოუნი ამ ოცი წლისთვის იმსახურებს ერთი წლით კოლეგებს შორის გამორჩეულ საფეხურზე შეყენებას.

მაშინ, როცა გუნდმა დაკარგა ნბა-ს ისტორიაში ყველაზე შეთამაშებული დუეტი ჯონ სტოქტონი და კარლ მელოუნი და ანდრეი კირილენკოს, კარლოს პროიოს, რაულ ლოპესისა და სხვა ამგვარი მოთამაშეებითაც არ არცხვენ „მარკას“, დასვენების გაკეთებას დიდი ფილოსოფია არ სჭირდება.

არც კირილენკოს ვერჩით და არც არიოს, მით უმეტეს რუსმა წლეულს ოლ სტარიც კი დააგემოვნა და არც პუერტორიკოელია ხუთ გუნდში დაწუნებული და მეექვსეში ნაცნობობით აყვანილი ვიღაც ლათინოსი ქუჩის მობურთალი. მაგრამ გუშინწინ „ლეიკერსთან“ შეხვედრაში კირილენკომ მხოლოდ 7 ქულა გააკეთა, არიიომ 5 და საერთოდაც დამწყები ხუთეულიდან არავის მოუგროვდა თუნდაც 10 ქულა. ყოველივე ამის მიუხედავად „იუტა“ მაინც თითქმის თანაბრად ეთამაშა გოროზ მეტოქეს და მხოლოდ შვიდი ქულით დათმო გასვლა.

ერთი სიტყვით, ამდენი ხანი იმის მტკიცებას ვცდილობთ, რომ მარად კარაგ გუნდ „იუტაში“ თუკი ვინმე ქებას იმსახურებს, ეს ჯერი სლოუნია, ამ გუნდის მარადიული სიდიდე.

სხვათა შორის აწ „ლეიკერსში“ მოთამაშე კარლ მელოუნმა ცხოვრებაში პირველად ითამაშა „იუტა ჯაზის“ წინააღმდეგ. 18-წლიანი „ჯაზური“ კარიერის შემდეგ „ლეიკერსი“ მისი მხოლოდ მეორე გუნდია და აი 41 წლის ბეხრეკმა კარლმა ყოფილ თანაგუნდელებს 19 ქულა ჩაუგდო. თითქმის ამდენივე მოუგროვდა „ლეიკერსის“ მეორე წლევანდელ წვევამდელ გერი პეიტონს, ხოლო კობი ბრაიანტმა სულაც 34 ქულა დაატეხა თავს „ჯაზმენებს“. ამის მიუხედავადაც, ერთხელაც ვთქვათ, „იუტა“ ბოლომდე ღირსეულად იდგა (დარბოდა) და ამ მარცხით ღირსება არ შელახვია.

„ლეიკერსმა“ კი, რომელიც თანდათან სწავლობს სრული შემადგენლობით თამაშს, ზედიზედ მერვედ მოიგო.

კოტე ყორშია

მანოპოლია

მარკოიშვილი თასებს ყველა ქართველზე უკეთ აგროვებს

სადაც მანუჩარ მარკოიშვილი მივიდა, იმ გუნდმა რაღაც მოიგო. „ბენეტონში“ მოგებულ იტალიის ჩემპიონობასა და თასთან ახლოსაც ვერ მივა, მაგრამ „მიტელდოიჩერში“ მოპოვებული ფიბა-ევროპის თასიც კარგი სტიმულია ახალგაზრდა ქართველისთვის, თანაც ამ წარმატებაში მისი გამრჯე ხელიც ურევია

მანუჩარ მარკოიშვილის „მიტელდოიჩერმა“ ვიქტორ სანიკიძის და ვახტანგ ნაცვლიშვილის „დიჟონს“ ფიბა-ევროპის თასი აართვა

მთა მთას არ შეხვდება, თორემ კლუბი კლუბს... ბუნდესლიგის ქვედა ფენებში გაჩხერილი „მიტელდოიჩერი“ ფრანგული პირველობის ლიდერთაგან, თითქოს ივერთა შეკვეთითო, „დიჟონს“ ფიბა-ევროპის თასის ფინალში შეხვდა. ამ გუნდებს სწორედ ქართველი კალათბურთელები „აერთიანებთ“ და ყოველ კვირა ცალცალკე რომ ვკითხულობთ მათ ამბავს, აგერ, ბატონო, ერთად შეიყარნენ, თანაც ფინალში.

ბუნდესლიგაში ჩაფლავებულ ვეისენფელსელებს ამ თასის მოგებაღა ჰქონდათ ერთადერთ საამსეზონო სამიზნედ და აკი აიხდინეს კიდეც საწადელი. ოთხთა ფინალს თურქულმა იზმირმა უმასპინძლა, „ქართულმა“ გუნდებმა ორივე ნახევარფინალში იმარჯვეს.

მარკოიშვილმა ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ვეისენფელსელებს ნახევარფინალში. 24-წუთიანი ბურთაობა 20 ქულით დაასრულა და პოდმოსკოვიეს „დინამოს“ საფინალო გზიდან ჩამოშორებაშიც ლიდერის წილი დაიდო.

„დიჟონმა“ კი მასპინძელი „ტუბორგი“ დააჩოქა მძიმე ბრძოლაში, თუმც ამ საქმეში მარკოიშვილის მეგობარსა და თანაგუნდელს საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებში ვიქტორ სანიკიძის წვლილი არ მიუძღვის. სამწუხაროდ, იგი სათადარიგო იყო „ტუბორგთანაც“ და „მიტელდოიჩერთანაც“ ფინალში.

სამაგიეროდ, ვახტანგ ნაცვლიშვილმა გააკეთა ორი ქართველის საქმე. ნახევარფინალი ვატომ მოსათეალად გამოიყენა, თურქებს 7 ქულა აკმარა, ფინალში კი „დიჟონელებს“ ულიდერა და 22 ქულით თავისი გუნდის ბომბარდირი გახდა. თუმც ნაცვლიშვილის გარჯა საკმარისი არ აღმოჩნდა ვეისენფელსელების დასამარცხებლად, რომელთაგან პირველი მიხაილ პეტრავიჩუსი იყო 28 ქულით, მის მერე კი 13-ქულიანი მანუჩარ მარკოიშვილი მოდის.

ამ ამბავზე არანაკლებ მნიშვნელოვანია 17 წლის გიორგი ცინცაძის საევროლიგო დებიუტი ბობოლა ცსკა-ში. რუსულ სუპერლიგაში გამოცდილი ცინცაძე პირეოს'ში იახლეს არმიელებმა და „ოლიმპიაკოსის“ წაგება რომ გაცხადდა, ბოლო მეოთხედი სრულად ათამაშეს. ახალგაზრდა ქართველმა ბევრით ვერაფრით გამოიჩინა თავი, მხოლოდ ორი შედეგიანი პასი გააკეთა. მთავარი მაინც მისი დებიუტია...

ევროლიგაში გამობრძმედილ ვლადიმერ ბოისას კი ამჯერად არ გაუმართლა. მისი „ოლიმპია“ შინ „სკიპერთან“ დამარცხდა და ოთხთა ფინალში გასვლის ვარდისფერი ოცნება საბოლოოდ ჩაუმუქდა.

ოკეანგაღმა კი კიდევ ერთი ქართველი გამოაკლდა სამატჩო განაცხადებს. რა აზრი აქვს, გინდა სათადარიგო სკამზე ვმჯდარვარ და გინდა ტრიბუნაზეო, ნიკა ცქიტიშვილი „დენვერის“ მწვრთნელებს დათანხმდა და დაშავებულთა სიაში ჩაეწერა. სწორედ „სკიტას“ სიტყვაზე იყო, რომ მოენდომებინა, დარჩებოდა „დენვერის“ განაცხადში, მაგრამ რა ჯანდაბად მინდა უქმად სკამზე ჯდომა, ჩემს თავს ასე უფრო კარგად მივხედავო, უთქვამს ამერიკელი ჟურნალისტებისთვის.

ამასობაში კვლავ მუხლის მოშუშებას ელოდება ვლადიერ სტეფანია, ზაზა ფაჩულიამ კი თითქოს ცოტას უმატა. ხანგრძლივი უქმობის შემდეგ ფაჩულიამ გასულ კვირაში 2 ჩატჩი ითამაშა და განსაკუთრებით „ინდიანასთან“ მოიწადინა — 22 წუთში 8 ქულა და 9 მოხსნა მოიმკა.

ირაკლი პერტაია

ქართული ლეგიონი გასულ ხვირაში

	გუნდი	მეტოქე	ტურნირი	სად	ანგარიში	წთ	ქ	მ	პ	წ/ქ
მანუჩარ მარკოიშვილი	მიტელდოიჩერი	დიჟონი	ფიბა-ევროპის თასი	ნ	84:68	29	13	1	2	—
ვახტანგ ნაცვლიშვილი	დიჟონი	მიტელდოიჩერი	ფიბა-ევროპის თასი	ნ	68:84	32	22	4	0	—
ვიქტორ სანიკიძე	დიჟონი	მიტელდოიჩერი	ფიბა-ევროპის თასი	ნ	68:84	არ უთამაშია				—
გიორგი ცინცაძე	ცსკა	ოლიმპიაკოსი	ევროლიგა	ს	93:69	10	0	0	2	10/0
ვლადიმერ ბოისა	ოლიმპია	სკიპერი	ევროლიგა	შ	73:86	23	5	5	1	29/10,2
ზაზა ფაჩულია	ორლანდო	მაიამი	NBA.რეგულარ. ჩემპ.	შ	90:105	16	4	7	0	—
		ინდიანა	NBA.რეგულარ. ჩემპ.	შ	92:107	22	8	9	0	11,2/3,3
ნიკა ცქიტიშვილი	დენვერი	კლიპერსი	NBA.რეგულარ. ჩემპ.	შ	102:80	4	2	1	0	7,5/2,6
		სიეტლი	NBA.რეგულარ. ჩემპ.	ს	86:102	განაცხადში არ იყო				—
		იუტა	NBA.რეგულარ. ჩემპ.	ს	83:85	განაცხადში არ იყო				—
		მინესოტა	NBA.რეგულარ. ჩემპ.	შ	92:101	განაცხადში არ იყო				—

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი;
წ/ქ — ტურნირის მატჩებში საშუალოდ ნათამაშები წუთები და მოგროვილი ქულები; ს — სტუმრად; შ — შინ; ნ — ნეიტრალური

— ოლიმპიზმი —

ორასი ათასი იმას...

ბადრი პატარკაციშვილი ათენური ოქროსათვის სალაროს გააღებს

გუშინ ბადრი პატარკაციშვილს ავლაბარში, საკუთარ რეზიდენციაში სტუმრიანობა ჰქონდა. გემოვნებით მოწყობილ ეზოში ასევე გემოვნებით დადგმულ თავისებურ ფანჩატურში ბადრი პატარკაციშვილმა, როგორც საქართველოს ოლიმპიური ფონდის პრეზიდენტმა, შინაურულად მიიღო საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრ-ის, ჩვენი ქვეყნის სპორტის დეპარტამენტის, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და იმ სპორტულ ფედერაციათა მესვეურები, რომელთა წარმომადგენლებიც ათენის ოლიმპიური თამაშებისთვის სერიოზული ამბიციებით ემზადებიან

უწინარეს ყოვლისა, ესენი იყვნენ ჭიდაობის, ძიუდოს, ძალოსნობის, ტანვარჯიშისა და მშვილდოსნობის ფედერაციათა პრეზიდენტები თუ ამ სახეობათა ნაკრები გუნდების უფროსი მწვრთნელები.

საქართველოს ოლიმპიელთა მზადების, მათი საათენო გეგმების, იქ მგზავრობის, ცხოვრებისა თუ ჩაცმა-დახურვის შესახებ ვრცელი ანგარიშით გამოვიდა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი. მისი გამოსვლა იმავდროულად იყო ოლიმპიური ფონდის ანგარიშიც იმის თაობაზე, თუ სად, რომელ სახეობაში, რისთვის რამდენი დაიხარჯა.

სიტყვით გამომსვლელნი ერთხმად აღიარებდნენ, რომ არა ბადრი პატარკაციშვილის ფონდის დახმარება, საოლიმპიადო სამზადისი ჩავარდებოდა, ახლა კი მისი დახმარებით ყველაფერი დაუბრკოლებლად, გეგმის მიხედვით მიმდინარეობსო.

ამიტომაც, ყველა იმედოვნებს, რომ გამართლდება ჩვენი ოლიმპიური კომიტეტის საათენო დევიზი: „უკეთ, ვიდრე სიდნეიში!“

ამ „უკეთში“, უწინარეს ყოვლისა, თუნდაც ერთი ოლიმპიური ოქროს მედლის მოპოვება იგულისხმება, რასაც აგერ უკვე ორი ოლიმპიადაა, ვეღარ ვეღირსეთ, ჩემპიონს კი ბადრი პატარკაციშვილი ჯილდოდ 200 ათას ლარს პირდება და არც სხვა პრიზიორებს დატოვებს გულნაკლულს.

ერთი სიტყვით, ჩვენს სპორტსმენებს საათენოდ მოსამზადებელი პირობებიც აქვთ და გამარჯვების დიდი მატერიალური სტიმულიც.

ასე რომ, გუშინდელი მაჟორული თავყრილობა მაჟორულადვე ალა ფურშეტით დასრულდა.

ავთანდილ ჭყვიშელი

ავტორის ფოტო

ბადრი პატარკაციშვილმა ქართველი ოლიმპიელები შეაგულიანა

— ჩოგბურთი —

მედალი ნადალს

როჯერს ჯეროვანი შეხვდა

რაფაელ ნადალმა თვით როჯერ ფედერერი შემუსრა

NASDAQ-100 OPEN

მაიამი. მაგარსაფარი. კაცები

საპრიზო 3,45 მილიონი $

მესამე წრე

რაფაელ ნადალი (32, ესპანეთი) — როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) 6:3, 6:3; **გილერმო კორია** (3, არგენტინა) — ხუან იგნასიო ჩელა (25, არგენტინა) 6:2, 3:6, 6:3; **სებასტიან გროჟანი** (12, საფრანგეთი) — ტიერი ასიონი (საფრანგეთი) 6:3, 4:6, 7:6 (7:1); **ფერნანდო გონსალესი** (21, ჩილე) — ირჟი ნოვაკი (14, ჩეხეთი) 6:4, 6:2; **ანდრეი პაველი** (რუმინეთი) — ლეიტონ ჰიუიტი (17, ავსტრალია) 6:4, 7:5; **ნიკოლას კიფერი** (გერმანია) — რობი ჯინეპრი (აშშ) 7:6 (7:3), 3:6, 6:4; **ტოდ მარტინი** (აშშ) — იურგენ მელცერი (ავსტრია) 7:6 (7:4), 6:3; **ჟულიენ ბენეტო** (საფრანგეთი) — ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) 7:6 (7:3), 6:1

მაიამობაზე ჩასულ როჯერ ფედერერს თან თერთმეტმოგებიანი და ორტიტულიანი შლეიფიც ჩაჰყვა — ამქრის ზეგარდმო პირველოსანმა ფლორიდულ სამოთხეში მოხვედრამდე ჯერ დუბაურ, ხოლო სულ ახლახანს ინდიანუელსურ უდაბნოებში გაილაღა.

ზედიზედ მეთორმეტე გამარჯვება ფედერერმა უკვე მაიამურ მაგარსაფარზე, რუსი დავიდენკოს დამარცხებით მიითვალა. ეს არ იყო მისი საუკეთესო მატჩი — რუსის მოსათელად ალპელს ორ სეტზე მეტის თამაშიც კი დასჭირდა.

ნაიმმატჩევს ფედერერი თავადაც ამბობდა და ჩვენც კვერს ვუკრავდით, რომ უფრო იოლი ამბავი არც მომდევნო მატჩში ელოდა, რაკიღა 17 წლის უნიჭიერეს ესპანელ რაფაელ ნადალს უნდა დაჯახებულიყო. თუმც ჭაბუკია, მაგრამ უკვე ძაან მეჩოგნეაო, ასე იზღვევდა თავს ამქრის პირველოსანი.

ეს დაზღვევა დროული გამოდგა. ნადალი სახელიან მეტოქეს არ შეპუებია, პირველი გათამაშებიდანვე გალმა გაედავა და ბოლომდე ისე დამაჯერებლად და აგრესიულად უბრახუნა, რომ თავის უპირატესობაში თვით ყველაზე დაუფარავი ფედერერისტებიც არ დაუეჭვებია.

ძალიან ბედნიერი ვარ, კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი რომ ვითამაშეო, ხარობდა ნამატჩევს ნადალი და არც გაემტყუნებოდა, რადგანაც რეიტინგსიის ზეათეულელთან მას აქამდე არასოდეს ემარჯვა.

ეს მისი მეოცე საამსეზონო მატჩი გახლდათ და შვიდი მარცხის წილ ზორბა მუჩაჩო უკვე მეცამეტე გამარჯვებას მოიძევს.

რაც შეეხება ფედერერს, მას უკანასკნელ 29 მატჩში, საიდანაც 23 ამ სეზონზე მოდის, ნადალამდე მხოლოდ ერთი, წლევანდელი როტერდამობის მეოთხედფინალში ტიმ ჰენმანთან წაეგო.

სხვაფრივ — ტურნირის ნაადრევად მიტოვება კიდევ ორ სახელიან მეჩოგნეს მოუხდა, კაცთაგან — ლეიტონ ჰიუიტს, ხოლო ქალთაგან — ჯენიფერ კაპრიატის.

კისკას ოზბიჭს მოწოდება ჩაუფლავდა, ჯამში 10 ორმაგი შეცდომა დაუშვა და საკადრისად ვერც მეტოქის მძლავრ ნაუკანახაზევ დარტყმებს დაუდგა. მოწოდებამ ჰიუიტი ყველაზე მეტად მეორე სეტში, 4:5-ზე დაალალატა, როცა 2:4-დან ამომდებმა გათანაბრება ვეღარ შეძლო და სეტი, მატჩთან ერთად, ანდრეი პაველს დაანება.

კაპრიატი კი ბოლო ორ თვეში უკვე მეორედ იძლია ბერძენი ელენი დანილიდუსგან. შავტუხა ელენიმ იოლად აჯობა ზურგის ტრავმის გამო წლევანდელი ავსტრალიის ღია პირველობის გამომტოვებელსა და აზრზე ეგრეც ვერ მოსულ ჯენიფერარის, ვისთვისაც მაიამობა ოდენ მესამე საამსეზონო ტურნირია.

სერენა და ვინუს უილიამსებმა კი, როგორც მოსალოდნელი იყო, მეოთხე წრისაკენ გაივაკეს. ოღონდ, წინა წრისგან განსხვავებით, ამ ჯერზე უფრო დამაჯერებლად ვინუსი გამოიყურებოდა. დანიელა ჰანტუხოვა მან სეტისწაუგებლად დაიმორჩილა მაშინ, როცა სერენას ელენა ლიხოვცევასთან სამსეტიანი გამდაგანის გავლა მოუხდა.

საუკეთესო ფორმაში ახლა ნაღდად არ არის და მე რომ ჩემი საუკეთესო ჩოგბურთი მეთამაშა, ნაღდად მოვუგებდიო, აი, ეგეთ ჟღალებს იძახდა ნამატჩევს ლიხოვცევა.

ლევან ძელაურაძე

— ჰოკეი —

NHL

რეგულარული ჩემპიონატი

ჩიკაგოელთა კარს სენტლუისელი პეტერ ჩაიანეკი უტევს

— 28 მარტი —

ჩიკაგო 1:3 სენტ ლუისი

0:3 1:0 0:0

0:1 ტკაჩუკი (7), 0:2 ჩაიანეკი (11), 0:3 სავაჟი (12), 1:3 ტორნტონი (42)

პლეი ოფისთვის თავგამოდებით მებრძოლ „სენტ ლუისს“ კვირას ღმერთმაც ხელი მოუმართა. პირველი პერიოდის 5-წუთიან ინტერვალში ჩიკაგოელებმა 6-ჯერ დაარღვიეს წესები და სტუმრებმაც შეირგეს საჩუქარი — სამივე შაიბა რიცხვმრავლობაში შეაგდეს. შეგახსენებთ, რომ „ბლუზმენებს“ 25 წელიწადია, პლეი ოფი არ გაუცდენიათ.

სან ხოსე 2:1 დალასი

0:0 1:1 0:0 1:0

0:1 ტარჯონი (22), 1:1 ეკმანგი (29), 2:1 არიმო (63)

მინესოტა 2:1 ანაჰაიმი

0:1 1:0 1:0

0:1 პაველიდი (16), 1:1 ვალინი (33), 2:1 გაბორიკი

ედმონტონი 4:2 ფინიქსი

1:1 1:0 2:1

1:0 პიზანი (10), 1:1 დოუნი (10), 2:1 იორკი (38), 2:2 დოუნი (47), 3:2 ულანოვი (48), 4:2 ნედვედი (48)

რაც პეტერ ნედვედი „რეინჯერსიდან“ გადავიდა, ფრთები შეისხა და უმალ „ედმონტონის“ ლიდერად იქცა. მის ახალ გუნდსაც ძალიან მოუხდა ეს ცვლილება — შეიძლება ითქვას, „დედლაინის“ საუკეთესო გარიგება გამოდგა, რაკი „მენავთობეებმა“ 13 თამაშიდან 8 მოიგეს და ძირითად დროში ერთი მატჩიც არ წაუგიათ. ამ შეხვედრაში ნედვედი გოლითა და ორი პასით გამოირჩა, „ედმონტონი“ კი კვლავ მე-7 ადგილზე აღზევდა.

ნიუ ჯერსი 3:2 აილენდერსი

1:1 2:0 0:1

1:0 ნიდერმაიერი (7), 1:1 სკაჩარდი (20), 2:1 ელიაში (26), 3:1 ჯიონტა (38), 3:2 პერიში (41)

აღმოსავლეთი						
ტამპა	79	45	8	5	21	236:182	103
ბოსტონი	78	39	14	7	18	198:177	99
ფილადელფია	79	39	14	6	20	223:180	98
ტორონტო	79	42	10	3	24	230:202	97
ოტავა	78	40	10	6	22	249:174	96
ნიუ ჯერსი	79	41	12	2	24	202:159	96
მონრეალი	79	40	7	4	28	201:182	91
აილენდერსი	79	36	10	4	29	223:202	86
ბუფალო	78	35	7	4	32	207:210	81
ატლანტა	79	32	8	4	35	208:235	76
კაროლინა	78	28	13	6	31	159:191	75
ფლორიდა	78	27	14	4	33	172:205	72
რეინჯერსი	79	26	7	8	38	200:239	67
ვაშინგტონი	78	22	9	2	45	174:241	55
პიტსბურგი	79	21	8	4	46	181:294	54

დასავლეთი							
დეტროიტი	78	45	11	2	20	243:178	103
სან ხოსე	79	41	12	6	20	211:176	100
კოლორადო	78	38	13	5	22	225:188	94
დალასი	79	40	13	2	24	186:166	95
ვანკუვერი	78	39	10	5	24	218:189	93
კალგარი	79	40	7	3	29	195:172	90
სენტ ლუისი	78	37	11	2	28	184:191	87
ედმონტონი	79	35	12	5	27	216:201	85
ნეშვილი	78	35	11	4	28	205:209	85
ლოსანჯელესი	78	28	16	8	26	199:205	80
მინესოტა	78	27	20	3	28	173:172	77
ანაჰაიმი	80	28	10	8	34	181:210	74
ფინიქსი	79	21	18	6	34	185:237	66
კოლუმბუსი	78	24	8	4	42	169:224	60
ჩიკაგო	78	20	11	7	40	182:244	58

პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები არიან

მთავრული შრიფტით პლეი ოფში გასული გუნდებია აღნიშნული



REUTERS ატლანტიდან

ბიჭი და გოგო

ასეთი სურათები ხშირია, ოღონდ არა მაინცდამაინც კალათბურთის დარბაზში. ჩირლიდერები ამა თუ იმ გუნდის ერთგული გულშემატკივრები და ხშირად კალათბურთელთა მიჯნურებიც არიან. ისინი მოედნის კიდეზე დგანან და ხელ-ფეხის ენერგიული ქნევით ამხნევებენ ხოლმე საყვარელ გუნდს. განსაკუთრებული შეზნებარებით სტუდენტური თამაშების ჩირლიდერები გამოირჩევიან. დიუკის უნივერსიტეტის კრის დუონი ბურთს გაეკიდა, მოედნის გარეთ გოგოსთან ერთად კი გაკოტრიალდა.

REUTERS ლონდონიდან

150-ე

განთქმულ ჰამერსმიტის ხიდის ქვეშ გამოცურეს ოქსფორდის და კემბრიჯის მენავეებმა, უკვე 150-ედ შეეჯიბრნენ ერთმანეთს ნიჩბოსანი სტუდენტების გუნდები. ტემზაზე გახურებულ ნაოსნობაში ოქსფორდის გუნდმა იმარჯვა.

REUTERS დუბაიდან

ღელვარე ტროპიკული ვარსკვლავი

ახლა დუბაის დოღის დღეებია და უკვე ჩატარებულა გოდოლფინ მაილის რბოლა, რომელიც „ფრიბრეკს“ მოუგია დუბაისაკე, ასევე გოდოლფინის, საჯინიბოდან. ამ გარბოლის შემდეგ ფოკეი ჯეკი რიჩარდს ვერაფრით დაუწყნარებია თავისი „ტროპიკალ სტარი“.

ტორპი მოიჭრა

ყველაფრის ჩემპიონი იან ტორპი ვერარ დაიცავს თავის ოლიმპიურ ტიტულს ათენის აუზში. შაბათს მსოფლიოს რეკორდსმენი სიდნეის საკვალიფიკაციო შეჯიბრიდან მოიხსნა ფალს-სტარტის გამო და თუმცა, განმეორება ითხოვა, ფინას წესებით მოცურავეს მხოლოდ ერთი სტარტის უფლება აქვს. 400 მეტრზე, თავისუფალი სტილით ცურვაში მსოფლიოს ახალი ოლიმპიური ჩემპიონი ეყოლება. 21 წლის ტორპს აქამდე არასოდეს დამართნია ფალს-სტარტი.

REUTERS სიდნეიდან

ავტოგრაფი ბაზაზე

ტოკიოს ახლო, საგამიარას ამერიკულ სამხედრო ბაზას სწვევია „ნიუ იორკ იანკზის“ ბეისბოლისტი ხორხე პოსადა. „იანკები“ სეზონის გამხსნელ ტრადიციულ თამაშზე იმყოფებიან ტოკიოში, სადაც „ტაშპა ბეის“ შეხვდებიან, პოსადას კი უთქვამს, არ იქნება მხარდაჭერა არ გამოვუხატო იაპონიის ამერიკულ სამხედრო თემსო და ცხადია, ავტოგრაფებიც არ დანანებია ოფიცერთა ჩვილებისათვის.



REUTERS საგამიარადან

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ჭინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge